ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები “

მარიამ ცინცაძე

სწავლების მეთოდებით
სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
/თსუ-ს მაგალითზე/

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი,
თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების
მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება თსუ-ში გამოყენებული სწავების მეთოდების შესწავ-ლასა და სწავლების მეთოდებით ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა კმაყოფილებას.

სწავლების მეთოდები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელო-ვანი კომპონენტია. ფაქტობრივად, სწავლების მეთოდების რაგვარობაზეა დამოკი-დებული სწავლების მიზანისა და შედეგის მიიღწევა. სწავლის შედეგი, თავისი არსით, საკვალიფიკაციო უნარების დადასტურებაა, რომელიც თანამედროვე საგანმანათ-ლებლო სივრცეში სამი კომპონენტითაა გაწერილი - ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწორედ სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა განსაზღვრავს ამ უნარების მიღწევას, რაც აგრერიგად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ დარგისათვის და , ზოგადად, თანამედროვე ადამიანისათვის. სწორედ ამის გამო, მიგვაჩნია, რომ ჩვენი საკვლევი თემა - სწავლების მეთოდებით სტუდენტთა კმაყოფი-ლების კვლევა /თსუ-ს მაგალითზე/- საკითხის შესწავლის ერთ-ერთი ასპექტის, სტუდენტთა კმაყოფილების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი და **აქტუალურია.** ამ კუთხით, საკითხი საქართველოში ნაკვლევი არ არის და ამ თვალსაზრისით ჩვენი თემა **სიახლეს** წარმოადგენს.

ჰიპოთეზა:

- თსუ-ს სტუდენტებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ.
- ამასთან მოსალოდნელია, რომ იურიდიულ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებს სტუდენტებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ.

საკვლევი თემის მიზანი: სწავლების მეთოდებით თსუ-ს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

საკვლევი თემის ამოცანები:

- სწავლების მეთოდების შესახებ მეორადი ინფორმაციის დამუშავება:

ა. საკითხთან დაკავშირებული თეორიული მასალის შესწავლა;

ბ. საკითხთან დაკავშირებული კვლევების შესწავლა.

- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კითხვარის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის წარმართვა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა კმაყოფილება სწავლების მეთოდებით.

კვლევის ობიექტი: სწავლების მეთოდებით თსუს-ს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის პროცესი.

კვლევის მეთოდები:

- თვისებრივი კვლევა, სამაგიდე კვლევა;
- რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის შვიდივე ფაკულტეტის სტუდენდები.

შერჩევის მეთოდი: არამიზნობრივი შერჩევა.

კვლევის შედეგები გაწერილია კვლევით ნაწილსა და დასკვნებში.

Tsintsadze Mariam

Student satisfaction survey with teaching methods / TSU's example /

Annotation

Master's thesis concerns students' satisfaction with the study of teaching methods and teaching methods used in TSU.

Teaching methods are one of the key components of the learning process. In fact, the purpose and outcome of the study depends on teaching methods. Learning outcomes, by its essence, are proof of qualification skills, Which isare composed of three components in the modern educational space - Knowledge and understanding, skills, responsibility and autonomy. The correct selection of teaching methods determines the ability to achieve these skills, which are very important for a particular field and for a modern person, In general. Because of this, we consider that our study topic - Student Satisfaction Study with teaching methods / TSU example / - is one of the aspects of studying the issue, in terms of student satisfaction, is very important and **relevant**.

In this regard, the issue has not been studied in Georgia and in this respect our topic is novelty.

Hypothesis:

- TSU students do not have a sharp expression of satisfaction with teaching methods.
- It is also expected that the faculties of legal, humanitarian, social and political and business and economics have a statistically significant difference in teaching methods satisfaction.

Purpose of the theme: TSU Student Satisfaction Survey with Teaching Methods.

Topic task:

- **S**econdary information processing on teaching methods:

A. Study of theoretical material related to the issue;

B. Study of research related issues.

- Determination of research methodology;
- Development of the questionnaire;

- Conduct empirical research;
- Developing conclusions and recommendations;

The subject of research: Student satisfaction with the TSU Bachelor's educational level in teaching methods.

Research Object: The process of studying the TSU student satisfaction with teaching methods.

Research Methods:

- Qualitative research:

A. Analysis of documentation, the same board research.

- Quantitative research

Research tool: Semi-structured questionnaire.

Target group of research: students of the TSU Bachelor's educational level, seven faculty students.

Selection method: unused selection.

The results of the research are outlined in the research section and conclusions.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I: სწავლების მეთოდი, როგორც საწავლო - საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი 10

§ 1.1 სწავლების მეთოდების როლო სასწავლო პროცესში 10

§1.2. სწავლების მეთოდი-ცნების განმარტება 13

§ 1.3. სწავლების მეთოდები-ისტორიული მიმოხილვა - საზღვარგარეთი და საქართველო 14

§ 1.4. საქართველო თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში - ბოლონიის პროცესი - სწავლების მეთოდები 28

§ 1.5 სწავლების კლასიკური და თანამედროვე მეთოდები 30

თავი II. სწავლების მეთოდები ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 42

§2.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 42

§2.2 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 44

§2. 3 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი 44

თავი III: უცხო ქვეყნების გამოცდილება სწავლა-სწავლების მეთოდებთან მიმართებაში - უმაღლეს სასწავლებლებში და უცხოურ კვლევებში 46

§ 3. 1 სტოკჰოლმის უნივერსიტეტი- სწავლა-სწავლების მეთოდები 46

§ 3.2 მანჩესტერის უნივერსიტეტი - სწავლა-სწავლების მეთოდები 48

§ 3.3. კვლევა - "სწავლების მეთოდების გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებაზე" 49

§ 3.4. კვლევა - "ეფექტური სწავლების მეთოდები უმაღლესი განათლების დონეზე" 50

კვლევითი ნაწილი 52

დასკვნები 73

რეკომენდაციები 74

გამოყენებული ლიტერატურა: 76

დანართი 1

დანართი 2

დანართი 3

დანართი 4

შესავალი

სწავლების მეთოდები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ფაქტობრივად, სწავლების მეთოდების რაგვარობაზეა დამოკიდებული სწავლების მიზანისა და შედეგის მიიღწევა. სწავლის შედეგი, თავისი არსით, საკვალიფიკაციო უნარების დადასტურებაა, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სამი კომპონენტითაა გაწერილი - **ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.** სწორედ სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა განსაზღვრავს ამ უნარების მიღწევას, რაც აგრერიგად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ დარგისათვის და, ზოგადად, თანამედროვე ადამიანისათვის. დღეს სამეცნიერო სივრცეში არსებული უამრავი ცოდნისა და ინფორმაციის ფონზე, როცა რთული ხდება ორიენტირება პროფესიულ სფეროში და ფაქტობრივი ცოდნა უსწრაფესი ტემპით იზრდება, კაცობრიობა განსაკუთრებულ აქცენტს ადამიანის უნარების განვითარებაზე აკეთებს, რათა ადამიანმა თავად შეძლოს ახალი ინფორმაციის მოძიება და გამოყენება, არსებული ცოდნის ტრანსფორმაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორ იქნება შერჩეული და გამოყენებული სწავლების მეთოდი სასწავლო პროცესში, რათა მაქსიმალურად მოხდეს სტუდენტის ამა თუ იმ უნარის განვითარება, როგორი იქნება თანამედროვე სტუდენტის დამოკიდებულება ამ მეთოდებისადმი, ვინაიდან ცნობილია, რომ სწავლების მეთოდი, გარდა ზემოთაღნიშნულისა, სტუდენტის სწავლის ძირითადი მასტიმულირებელი და მოტივატორიცაა.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოშიც, სწავლების მეთოდებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. უნდა აღინიშნოს, რომ გაჩნდა ტერმინები - ტრადიციული მეთოდები და თანამედროვე მეთოდები. ამას გარდა, სირთულეს წარმოადგენს მეთოდთა კლასიფიკაცია, ძნელად იძებნება მეთოდთა კლასიფიკაციის ნიშნები. ასევე, აღრეულია ცნებები სწავლების მეთოდი, სწავლების ტექნოლოგია, სწავლების სტრატეგია, რაც სირთულეს უქმნის პრაქტიკოს მასწავლებელსა და უნივერსიტეტის ლექტორს. სწორედ ამის გამო, მიგვაჩნია, რომ ჩვენი

საკვლევი თემა - სწავლების მეთოდებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა /თსუ-ს მაგალითზე/- საკითხის შესწავლის ერთ-ერთი ასპექტის, სტუდენტთა კმაყოფილების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი და **აქტუალურია.** ამ კუთხით, საკითხი საქართველოში ნაკვლევი არ არის და ამ თვალსაზრისით ჩვენი თემა **სიახლეს** წარმოადგენს.

საკვლევი თემის მიზანი: სწავლების მეთოდებით თსუ-ს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

საკვლევი თემის ამოცანები:

- სწავლების მეთოდების შესახებ მეორადი ინფორმაციის დამუშავება:

  ა. საკითხთან დაკავშირებული თეორიული მასალის შესწავლა;

  ბ. საკითხთან დაკავშირებული კვლევების შესწავლა

  - კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
  - კითხვარის შემუშავება;
  - ემპირიული კვლევის წარმართვა;
  - დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა კმაყოფილება სწავლების მეთოდებით.

კვლევის ობიექტი: სწავლების მეთოდებით თსუს-ს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის პროცესი.

კვლევის მეთოდები:

- თვისებრივი კვლევა: სამაგიდე კვლევა, გამოკითხვა.
- რაოდენობრივი კვლევა .

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის შვიდივე ფაკულტეტის სტუდენდები.

შერჩევის მეთოდი: არამიზნობრივი შერჩევა.

კვლევის ჰიპოტეზა:

- თსუ-ს სტუდენტებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ.

- ამასთან მოსალოდნელია, რომ იურიდიულ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებს სტუდენტებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ.

კვლევის შედეგები გაწერილია კვლევით ნაწილსა და დასკვნებში.

თავი 1: სწავლების მეთოდი, როგორც საწავლო – საგანმანათლებლო პროცესის ერთ–ერთი ძირითადი კომპონენტი

§ 1.1 სწავლების მეთოდების როლი სასწავლო პროცესში

იმისათვის, რომ განვსაზღოთ სწავლების მეთოდის როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ სასწავლო პროცესის არსსა და მის კანონზომიერებას, რომელსაც სწავლობს პედაგოგიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიცაა დიდაქტიკა. დიდაქტიკის, როგორც თეორიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია იან ამოს კომენსკის სახელთან. თუმცა, მისი წარსული ისეთივე შორეულია, როგორც აღზრდის, სწავლებისა და განათლების. უხსოვარ დროში ადამიანები ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რა გზით, რა ფორმით გადაეცათ მომავალი თაობისთვის ის ცოდნა და გამოცდილება რაც მათ გააჩნდათ. თუმცა ეს ყოველივე სისტემურ ხასიათს არ ატარებდა. ტერმინი დიდაქტიკა ბერძნული წარმოშობისაა (ბერძნ. didaktikos – დამრიგებლობითი). ეს ტერმინი სწავლების თეორიასთან კავშირში პირველად ვოლფგან რატკემ 1612 წელს გამოიყენა. მან თავის ჩანაწერებში ჩამოაყალიბა სწავლების ზოგადი მოთხოვნები, რომლებსაც იგი დიდაქტიკურ წესებს უწოდებდა. (ლორთქიფანიძე, 1983).

თანამედროვე სამყაროში კი, დიდაქტიკა არის პედაგოგიური მეცნიერებების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი, რომელიც სწავლობს განათლებისა და სწავლების თეორიასა და პრაქტიკას. სხვანაირად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდაქტიკა არის განათლებისა და სწავლების თეორია. დიდაქტიკის, როგორც პედაგოგიკის დარგის უმთავრესი ცნებებია სწავლება და განათლება. *"სწავლება არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის გარკვეულ ცოდნა-ჩვევათა გადაცემისა და მოსწავლეთა მიერ ამ ცოდნა-ჩვევათა შეთვისების ორგანიზებული, სხვადასხვაგვარი და ერთიანი პროცესი".* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:18]

განათლება, სისტემური ცოდნის შეძენის პროცესი და შედეგია. სწავლებისა და განათლების პროცესები ერთმანეთის გარეშე არ მოიაზრება, განათლება, სწავლების

გზით წარმოებს და ამ პროცესის საშუალებით ხდება მოზარდის აღზრდა, ანუ, იმ უნარების განვითარება, რომელიც ადამიანს თანდაყოლილად აქვს. მაშასადამე, სწავლება აღზრდის პროცესის უმთავრესი ნაწილია, რამეთუ მოზარდის აღზრდა, მისთვის ცოდნის გადაცემა, უნარ-ჩვევების განვითარება სწორედ სწავლების საშუალებით ხორციელდება. *"...სწავლება არ ნიშნავს მხოლოდ ცოდნის გადაცემასა და შეთვისებას. თვით ცოდნის შეთვისების პროცესი აღმზრდელობით ზეგავლენასაც ახდენს ბავშვზე. კერძოდ, მას უვითარდება ინტელექტუალური უნარები - აზროვნება, მეხსიერება, ზეპირი და წერითი მეტყველება, ანალიზი, სინთეზი და სხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლება მოსწავლის მიერ შემეცნებითი ჩვევების შემუშავებას გულისხმობს".* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:17]

სწავლება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალმხრივი პროცესი, რადგანაც მასში ორი მხარე - მოსწავლე და მასწავლებელი მონაწილეობს. ერთი მხრივ, მასწავლებელი გადასცემს ცოდნას, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლე შეიმეცნებს ამ ცოდნას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მოსწავლე განიხილებოდეს სწავლების პროცესის მხოლოდ სუბიექტად, არამედ იგი ამ პროცესის ობიექტია. (ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012)

სასწავლო პროცესის განხორციელება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ რამდენიმე კითხვით. პირველი, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო პროცესში არის **სწავლების მიზანი** და მისგან **გამომდინარე შედეგი,** ანუ გარკვევით უნდა ვიცოდეთ საით მივდივართ და რისი მიღწევა გვსურს ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო პროცესის განხორციელებისას. სწავლების მიზანს პედაგოგიკის მეცნიერება გამოხატავს კითხვით - **ვინ უნდა აღვზარდოთ?** ეს ის ცენტრალური კითხვაა, რომლის დასმის გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის დაწყება. ბუნებრივია, სწავლების მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია განისაზღვროს რა შინაარსის მასალა უნდა მივაწოდოთ სტუდენტს მიზნის მისაღწევად, რასაც მოჰყვება დიდაქტიკის შემდეგი კითხვა, **რა უნდა ვასწავლოთ?** ნათელია, რომ ეს კითხვა სასწავლო მასალის შინაარსს ასახავს. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა განისაზღვროს სწავლების პროცესში არის იმ პრინციპების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების, სწავლების ორგანიზაციის ფორმებისა

და ცოდნის შეფასების სისტემის განსაზღვრა, რითაც უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი. სწავლების პროცესის ამ მახასიათებელს დიდაქტიკა განსაზღვრავს კითხვით - **როგორ უნდა ვასწავლოთ?** ბუნებრივია, ეს კითხვაც, მიზნიდან გამომდინარეა და მის შესატყვისადაა განსაზღვრული. სასწავლო პროცესში, უმეტესწილად, ამ კითხვის რეალიზების შედეგად ხდება იმ ზოგადი უნარების/ზეპირი და წერითი მეტყველება, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, შემოქმედებითი აზროვნება და სხვ./ ფორმირება პიროვნებაში, რომელიც აუცილებელია მისთვის ყოველგვარი საქმიანობის შესრულების პროცესში. და ბოლოს, დიდაქტიკა სვავს კითხვას - **ვინ უნდა ასწავლოს?** ეს ვინ მასწავლებელია, რომელმაც უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი მიზნიდან გამომდინარე ამ კითხვების შესაბამისად და განახორციელოს სასწავლო პროცესი. მაშასადამე, სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ამ ოთხი კითხვის ურთიერთკავშირი და მიზანმიმართულობა და რომელიმეს დარღვევა ვერაფრით მიგვიყვანს სწავლის ჭეშმარიტ შედეგამდე. ცხადია, ჩვენ ვერ მოვიცავთ ყველა კითხვას ჩვენ საკვლევ ნაშრომში, მაგრამ შევეცდებით ვიმსჯელოთ კითხვაზე როგორ ვასწავლოთ და ამ კითხვის ერთ კონკრეტულ სეგმენტზე, კერძოდ, სწავლების მეთოდებზე.

მაშასადამე, სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია მიზნის გარეშე, სწავლების მიზანი კი აუცილებლად უნდა გადიოდეს გარკვეულ შედეგებზე. ცხადია, სწავლების მიზანი და შედეგები დარჩება მიუღწეველი შესაბამისი სწავლების მეთოდების გამოყენების გარეშე. ეს ურთიერთკავშირი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ.

სწავლების მიზანი ⟹ სწავლების მეთოდები ⟹ სწავლების შედეგები.

აქ წარმოდგენილის სქემიდან ცხადი ხდება სწავლების მეთოდების ცენტრალური ადგილი სასწავლო პროცესში. მის გარეშე შეუძლებელია სწავლების შედეგების მიღწევა. თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოთხივე კითხვა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და ემსახურება პირელ კითხვას-ვინ უნდა აღვზარდოთ.

§ 1. 2. სწავლების მეთოდი–ცნების განმარტება

სწავლების მეთოდის როლის ამგვარი ხედვის ჩამოყალიბების შემდეგ, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით შევეცადოთ სწავლების მეთოდის, და კერძოდ, მეთოდის ცნების განმარტებას.

მეთოდის სხვადასხვა განმარტება არსებობს, სხვადასხვა ლექსიკონში. მოვიტანთ რამდენიმე მათგანს.

"მეთოდი (ბერძნ. methodos-კვლევის, შემეცნების გზა), წესების კანონებისა და სათანადო ოპერაციათა სისტემა, აგრეთვე თეორია, მოძღვრება. მეთოდი, როგორც სინამდვილის შემეცნების იარაღი ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს თვით სინამდვილეს, რაც მხლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ მისი წესები გამოყვანილია ჭეშმარიტი თეორიებიდან, დებულებებიდან". [აბაშიძე, 1983: 548-549].

დ. ლორთქიფანიძის სახელმძღვანელოში „დიდაქტიკა" მეთოდის ცნების შემდეგნაირ განმარტებას ვხვდებით- *"მეთოდი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (metodos) და ზოგადად ნიშნავს გზას, ხერხს, საშუალებას, რომელსაც ადამიანი იყენებს მის მიერ დასახული მიზნის, ამოცანის მისაღწევად, განსახორციელებლად."* [ლორთქიფანიძე, 1983:197].

განმარტებითი ლექსიკონი, განათლების სპეციალისტებისთვის სწავლების მეთოდის შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს: *"სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების სისტემური გეგმა, გზა, ტექნიკა. მასწავლებელი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რათა მოახდინოს სასწავლო პროცესის წარმართვა."* [ბერძენიშვილი 2007:60]

სწავლების მეთოდის შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს დ. ლორთქიფანიძე *"სწავლების მეთოდი არის ის გზა, ხერხებისა და საშუალებების ის სისტემა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს აღზრდის მიზნიდან გამომდინარე ყოველი ცალკე სასწავლო ამოცანის გადაწყვეტისათვის. უფრო ზუსტად: სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება."*[ლორთქიფანიძე, 1983: 198].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამვოტანოთ დასკვნა, რომ სწავლების მეთოდი არის ის გზა, ხერხი და შასუალება, რომლითაც მიიღწევა დასახული მიზანი და კონკრეტული სწავლების მეთოდების საშუალებით ხდება სწავლა-აღზრდის მიზნის მიღწევა.

§ 1. 3. სწავლების მეთოდები–ისტორიული მიმოხილვა – საზღვარგარეთი და საქართველო

როგორც, განათლების ისტორიიდან არის ცნობილი, აღზრდა საზოგადოების გაჩენისთანავე წარმოიშვა, თუმცა იგი არ არსებობდა, როგორც სოციალური ინსტიტუტი. რადგან, ვამბობთ, რომ აღზრდა არსებობს უხსოვარი დროიდან, ეს ნათელს ფენს იმ ფაქტს, რომ სწავლა/სწავლება და სწავლების მეთოდებიც, ასევე, უხსოვარი დროიდან, აღზრდის გაჩენისთანავე წარმოიშვა. აქვე, შეგვიძლია დავამატოთ ისიც, რომ ეს ყოველივე გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. საზოგადოების განვითარებისა და ფორმაციის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა აღზრდის/სწავლების მიზანი და, შესაბამისად სწავლების მეთოდები. უმჯობესი იქნება, ამ საკითის უფრო დეტალურად განხილვა დავიწყოთ **პირველყოფილი საზოგადოებიდან.**

ისტორია გვამცნობს, რომ პირველყოფილი საზოგადოება დაფუძნებული იყო თანასწორობაზე. აქ, თანასწორობაში იგულისხმება, კერძო საკუთრების არარსებობა, ყველაფერი იყო ტომის საკუთრება. პირველყოფილ საზოგადოებაში აღზრდა **სტიქიურ** ხასიათს ატარებდა (ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012), სადაც, აღზრდა ხორციელდებოდა შრომითი საქმიანობის ნიადაგზე, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით, აქ მოიაზრება, თევზაობა, ნადირობა, რიტუალების შესრულება და ა.შ. მსგავსი აქტივობების საშუალებით მოზარდებს უვითარდებოდათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ემზადებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე რთულია ვისაუბროთ თვითონ სწავლების მეთოდებზე, რადგან ამ საზოგადოებას განვითარების მაღალი დონისთვის არ მიუღწევია.

პირველყოფილი საზოგადოების დაშლის მიზეზი გახდა კერძო საკუთრების გაჩენა, ამ პროცესმა გზა დაუთმო საზოგადოების განვითარების შემდგომ - **მონათნათმფლობელურ წყობას**.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღზრდა-სწავლებამ განსხვავებული მიზანი შეიძინა, ასევე ვხვდებით სწავლების განსხვავებულ მეთოდებსაც. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დეტალურად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე. როგორც ცნობილია, პირველი კლასობრივი წყობილება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა. ისტორიულად, ეს ქვეყნები წარმოადგენენ კაცობრიობის ცივილიზაციის უპირველეს კერებს, აქ მოიაზრებიან: ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე და ა.შ. მაგალითისთვის განვიხილოთ ჩინეთი და ეგვიპტე. ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში, ჩინეთში გაჩნდა სასწავლო დაწერებულებები- *"სიანი, სიუი, სიუე და აქ ისწავლებოდა ექვსი დისციპლინა: ხელოვნება, ეტიკეტი, წერა, ანგარიში, მუსიკა, ისრის ტყორცნა".* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:12]. ჩინეთი, ასევე, გამორჩეულია უძველესი ფილოსოფიური სკოლებით (ძვ. წ. აღ. VIII-II-სს). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონფუცის ფილოსოფიურ-პედაგოგიური სკოლა, რომლის განვითარებამ გავლენა მოახდიანა, არამხოლოდ ჩინეთის განათლების შინაარსზე, არამედ მეზობელ ქვეყნებზეც. ამ პერიოდის ჩინური განათლება ხასიათდებოდა **მექანიკური და დოგმატური** სწავლების მეთოდებით. სასწავლოდისციპლინების მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოტ დასკვნა, რომ აქ იყენებდნენ ზეპირსიტყვიერ, წერით და წიგნზე მუშაობის მეთოდებს და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მასწავლებლის ავტორიტეტი კრიტიკას არ ექვემდებარებოდა, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არ არსებობდა თანამშრომლობითი ურთიერთობა (ინტერაქცია, კითხვა-პასუხი, მსჯელობა), რაც დღეს ასე ფართოდ არის გვრცელებული. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოგმატური მეთოდით შეუძლებელი იყო ფაქტობრივი მასალის დასწავლა.

ეგვიპტემ, ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი განვითარება პოვა, ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ, თუნდაც, პირამიდები. ეს კი ცხადყოფს, რომ ძველ ეგვიპტეში განათლება მოწოდების სიმაღლეზე იდგა, განსაკუთრებით კი მათემატიკა. ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის დასაწყისში, ეგვიპტეში არსებობდა

სხვადასხვა ტიპის სასწალებლები. თავდაპირველად ეგვიპტეში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ცეკვას და სხვ. შემდგომ პერიოდში, საშუალო ტიპის სასწავლებლებში, ისწავლებოდა სხვა დისციპლინებიც, მაგ: მათემატიკა, გეომეტრია, სამშენებლო საქმე, ასტროლოგია და ა.შ. ძველ ეგვიპტეში აღზრდის საუკეთესო საშუალებად **დასჯას** მიიჩნევდნენ. როგორც ისტორიული ცნობები გვამცნობენ ეგვიპტეში კონსონანტური დამწერლობა იყო, ამიტომ წერა-კითხვის შესწავლა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა. სწავლების ძირითადი მეთოდები იყო **დაზეპირება და წერა (ანუ ზეპირსიტყვიერი და წერითი მუშაობის მეთოდები)**. (ეგვიპტეში წერის მეთოდს იყენებდნენ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. XXV საუკუნეში). მოსწავლეები პაპირუსზე გადაწერაში ვარჯიშობდნენ, მათ სავარაუდოდ, დღეში სამი გვერდის გადაწერა ევალებოდათ. რაც შეეხება ანგარიშის შესწავლას იგი **პრაქტიკულ** ხასიათს ატარებდა. *"მოსწავლეები სწავლობდნენ მიწის ნაკვეთის გაზომვას, სხვადასხვა სამუშაოსთვის საჭირო მუშახელის გამოანგარიშებას, ტაძრებისა და პირამიდების სიმაღლის განსაზღვრას და სხვ."*[ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:16].

როდესაც ვეხებით აღზრდასა და სწავლების მეთოდებს, არ შეიძლება არ ვახსენოთ ძველი საბერძნეთი. აქ განასხვავებენ **სპარტანულ** და **ათენურ** აღზრდას. სპარტაში მონათა რიცხვი, მონათმფლობელთა რიცხვს, ოცჯერ აღემატებოდა. ამგვარი პირობებიდან გამომდინარე სპარტელი მონათლფლობელები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ თავი დაეცვათ, როგორც აჯანყებული მონებისგან, ასევე, მეზობელი ტომებისგანაც. ამგვარმა პირობებმა განსაზღვრა სპარტანული აღზრდის მიზანი. პლატონის და არისტოტელეს მიხედვით, სპარტანული აღზრდის მიზანი მთლიანად ექვემდებარებოდა **მეომართა** მომზადებას. ცხადია ისწავლებოდა წერა-კითხვა, ანგარიში, ლიტერატურა, ისტორია და ა.შ. თუმცა, აღზრდის ძირითად მიზანს სამხედრო საქმის შესწავლა წარმოადგენდა. სწავლების მეთოდად იყენებდნენ სამხედრო-ფიზკულტურულ ვარჯიშებს, მათგან აღსანიშნავია ხუთჭიდი, ცხენოსნობა, ცურვა და სხვ. ანუ, იყენებდნენ პრაქტიკულ-ვარჯიშობით მეთოდებს, ასევე ცნობილია, რომ არსებობდა სარამოს საუბრები მხედართმთავრებთან, ანუ იყენებდნენ საუბრის, მონოლოგის, დიალოგის მეთოდებს.

ათენში, სპარტისგან განსხვავებული აღზრდის მიზანი ჰქონდათ, რაც განპირობებული იყო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. ამ ფაქტმა, ხელი შეუწყო კულტურის განვითარებას. სხვადასხვა მეცნიერებათა შორის გამოიკვეთა და დაწინაურდა ფილოსოფია. ათენში ჩამოყალიბდა თალესის, სოკრატეს, პითაგორას და სხვათა ფილოსოფიური სკოლები.

ათენური აღზრდა სახელმწიფო ხასიათის მატარებელი იყო. პედაგოგიკის თეორიის პირველ ჩანასახსაც სწორედ ძველ საბერძნეთში ვხვდებით.

ჩვენი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ სოკრატეს[1] შეხედულებებსა და სწავლების მეთოდებს. სოკრატე თავის მოწაფეებს ასწავლიდა "კამათის, პოლემიკის, ორატორობის ხელოვნებას." [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:21]. მართალია, სოკრატეს წერილობით შრომები არ დაუტოვებია, მაგრამ სოკრატეს შესახებ ცნობები ჩვენამდე მისმა მოწაფეებმა მოიტანეს. როგორც პედაგოგიკის ისტორიაში წერია *"სოფისტების [2] მოსაწყენ ლექციებს სიკრატემ დაუპირისპირა ცოცხალი საუბრის, **ევრისტიკული** მეთოდი".* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:23]. **ევრისტიკული** მეთოდი ითვალისწინებდა სოკრატეს მიერ მოსწავლესთვის კითხვის დასმას, არასრული, ან მცდარი პასუხის შემთხვევაში, სოკრატე, ნაცვლად სწორი პასუხის თქმისა, კვლავ სვამდა დამატებით შეკითხვებს, მანამ სანამ მოსწავლე არ მივიდოდა ჭეშმარიტებამდე. ცხადია, ძვ. წ. აღ. V-IV საუკუნეებში არ არსებობდა არც უნივერსიტეტი და არც ლექტორი, მაგრამ, თუ კარად დავუკვირდებით სოკრატე იყო ლექტორი, რომელიც ზრდასრულ ადამიანებს სალექციო სტილით განანათლებდა. როდესაც ვსაუბრობთ სოკრატესეულ სწავლების მეთოდებზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ **მაიევტიკის მეთოდი**. მაიევტიკის მეთოდი ითვალისწინებს, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს პირდაპირ არ გადასცეს ცოდნა, არამედ იგი ეხმარება მას, რომ "ხელახლა შვას" ეს ცოდნა. სოკრატეს მოსწავლე იყო, ცნობილი ფილოსოფოსი პრატონი, როლის აზრითაც **კითხვა და ლიტერატურული თხრობა,** არის ბავშვის აღზრდის მნიშვნელოვანი მედოდები. პლატონის შეხედულებები განათლებასთან

---

[1] ძველი ბერძენი ფილოსოფოსი(469-393 ქ.წ.)

[2] სოფისტები (ბერძნ. σοφιστής — ბრძენი, ცრუბრძენი, გამომგონებელი). ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის პირველ ნახევარში საბერძნეთში მოღვაწე ფილოსოფოსები.

დაკავშირებით გამოირჩევა იმითაც, რომ მან პირველმა მიანიჭა თამაშს აღმზრდელობითი როლი, ანუ თამაში წარმოაჩინა სასწავო-აღზრდელობით მეთოდად.

ძველ რომში აღზრდის მთავარ მიზანს **ორატორის** აღზრდა წარმოადგენდა. ერთ-ერთი ცნობილი რომაელი მოაზროვნის, კვინტილიანეს აზრით, ორატორის აღზრდა, ბავშვის დაბადებისთანავე უნდა იწყებოდეს. მას ამის შესახებ ნაშრომიც აქვს მიძღვნილი- "ორატორის აღზრდის შესახებ", რომელშიც საუბარია ორატორის აღზრდის პრინციპებზე, მიზანზე და ა.შ. ძველ რომში დიდი ყურადრება ეთმობოდა რიტორიკის შესწავლას, შესაბამისად აქ ფართოდ გამოიყენებოდა ზეპირსიტყვიერი მეთოდები.

მას შემდეგ, რაც რომის იმპერია დაეცა (ახ. წ. აღ. 476), გავრცელება დაიწყო ქრისტიანულმა რელიგიამ. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განათლების სფეროშიც, კერძოდ კი განათლებაზე მონოპოლია რელიგიამ აიღო. ცხადია, ამ ფაქტმა განსაზღვრა, როგორც განათლებისა და აღზრდის მიზანი, ისე მისი შინაარსი და სწავლების მეთოდები. გაჩნდა ეკლესიებთან არსებული სკოლები, სამღვდელოება კი ფეოდალურ საზოგადოებაში ერთადერთ განათლებულ ფენას წარმოადგენდა. საეკლესიო სკოლებში მღვდლები, მოსწავლეებს მორჩილებას უქადაგებდნენ. ქრისტიანული რელიაგია სხეულს *"სულის საპყრობილედ აცხადებდა"* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:37]. უპირველესად მიაჩნდა სულზე ზრუნვა, სხეულის გვემის საპირწონედ. "*სკოლაში გამეფებული იყო მკაცრი, ბრმა დისციპლინა, დამქანცველი ლოცვები, ხანგრძლივი მარხვა, სწავლებაში კი **მექანიკური ზეპირობა".*** [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:37]. სწავლების ამგვარი მეთოდი გამორიცხავდა ყოველგვარ დაეჭვებას, განხილვას, კამათს, განსჯას, კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას, განათლება დოგმატიზირებული იყო. ამ გზით ეკლესია ცდილობდა აღეზარდა ფეოდალური საზოგადოების ისეთი წევრი, რომელსაც არ ექნებოდა არავითარი პროტესტის გრძნობა, ან მისი გამოხათვის საშუალება და თავისუფლება. ცხადია, ასეთი ვითარება სამუდამოდ არ გაგრძელებულა, საუკუნეების სვლასთან ერთად დაიწყო ცვლილებები. ყმა-გლეხებში, თანდათანობით გამოეყვნენ ვაჭრები, ხელოსნები. დაიწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება. ამ მოვლენამ კი ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას, ქალაქების ზრდამ- კულტურის განვითარებას. დაიწყეს საეკლესიო სკოლების პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენება, მაგრამ **სქოლასტიკა** ძნელი დასამარცხელები აღმოჩნდა,

ცვლილებები უმნიშვნელო იყო Xll-XlV საუკუნეებამდე, მანამ სანამ Xll-ს-ში არ დაარსდა პირველი უნივერსიტეტი.

1158 წელს იტალიაში, ბოლონიაში დაარსდა პირველი უნივერსიტეტი, რაც ნიშნავდა მეცნიერების აღმავლობის დასაწყისს. შუა საუკუნეებში დაარსდა სხვა უნივერსიტეტებიც, მაგალითად: 1188 წელს რეჯო-ნელ-ემილიაში; 1181 წელს საფრანგეთში, პარიზში; 1167-8 წლებში ინგლისში-ოქსფორდში და ა.შ. ევროპაში სწრაფად დაიწყო უნივერსიტეტების რიცხვის ზრდა. უნივერსიტეტი არ იყო ის დაწესებულება, რომელიც ეკუთნოდა სასულიერო პირებს, არამედ მეცნიერებს. ცხადია ეს არ იყო მარტივი ბრძოლა რელიგიასა და მეცნიერებას შორის, თუმცა ბოლოს ის ერთგვარი "ზავით" დასრულდა, რელიგიამ და მეცნიერებამ გაიყვეს ინტერესთა სფეროები. რელიგია, ცხადია ზეციური ცხოვრების სფეროში დარჩა, ხოლო მეცნიერებამ მიწიერი ცხოვრება აირჩია. იმ დროის უნივერსიტეტებში ისწავლებოდა ე.წ. 7 (რომლებიც, შემდგომ ტრივიუმისა და კვადრიუმის საგნების სახელწოდებითაც მოიხსენიებოდა) თავისუფალი მეცნიერება: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა.

დროთა განმავლობაში დაარსდა **საგილდო** და **საამქრო** სკოლები, რამაც უნივერისტეტებთან ერთად მოამზადეს ნიადაგი ფეოდალური საზოგადოების დაშლისთვის და გზა დაუთმეს **ჰუმანიზმის ეპოქას**.

XlV-XVI-სს-ში გაჩნდა ახალი კლასი-ბურჟუაზია, რომელმაც დაიწყო ფეოდალიზმთან ბრძოლა. ბურჟუაზიამ წამოაყენა აქტიური და ჯანსაღი ადამიანს კულტი. ამ იდეის გამო აღორძინების ეპოქას ჰუმანიზმის[1] ეპოქადაც მოიხსენიებენ. ეს იყო ნამდვილი აყვავებს ეპოქა, რომელმაც ადამინის მოღვაწობის ყველა სფერო მოიცვა: ლიტერატურა, ხელოვნება, გეოგრაფია და ა.შ. ამ ეპოქასთან არის დაკავშირებული ისეთიი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ბოკაჩო, რაფაელი, პეტრარკადა სხვ. ჰუმანიზმის ეპოქა თავისი იდეებით, სრულიად დაუპირისპირდა დეოდალურ შეხედულებებს, ასეთიე დაპირისპირება გამოიკვეთა აღზრდა განათლების სფეროშიც. ამ ეპოქის წარმომადგენლებმა ახალი სული შთაბერეს

[1] არორძინების იგივე ჰუმანიზმის ეპოქა, დაიწყო იტალიაში (იტალ.: Rinascimento, re- "ხელახლა" და nascere "დაბადება"). იგი მოიცავდა XIV—XVI საუკუნეებს, მის იდეას წარმოადგენდა ანტიკური კულტურისხელახალი აღორძინება.

ჰარმონიული აღზრდის [1] იდეას. ისინი თვლიდნენ, რომ სწავლებისას უნდა გამოეყენებინათ **თვალსაჩინოების პრინციპსა და დემონსტრირების მეთოდს,** რაც ბავშვისთვის უფრო მისაწვდომს, გასაგებსა და დასაძლევს გახდიდა სასწავლო მასალას. თავისუფლად შეგვიძლია, გამოვიყენოთ თანამედროვე ტერმინი და ვთქვათ, რომ სწავლება გახდა მოსწავლეზე ორიენტირებული. ჰუმანიზმმა, სრულიად უარყო სქოლასტიკურ- დოგმატური სწავლება, ამის საპირისპიროდ მას აინტერესებდა ადამიანის აზროვნება, ჰუმანიზმმა ადამიანი წარმოაჩინა სამყაროს ცენტრად. მან გაამდიდრა სასწავლო საგნები, სწავლება, განსხვავებით ფეოდალიზმისგან, დაუქვემდებარა პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს.

როდესაც ვსაუბრობთ პედაგოგიური აზრის განვითარებაზე, არ შეიძველა არ აღვნიშნოთ იან ამოს კომენსკის[2] ღვაწლი ამ სფეროში. კომენსკი თავისი იდეებითა და შეხედულებებით ჰუმანისტებზე წინ წავიდა *"...მათგან განსხვავებით ხალხთა სრული სოციალური თანასწორობის იდეა აღიარა..."* [ჭკუასელი & ჭკუასელი, 2012:64]. ამის საფუძველი კი სწორედ ჰუმანისტებმა მოამზადეს. კომენსკი მიიჩნევდა, რომ გონებაში არაფერია ისეთი, რაც მანამ ჩვენს შეგრძნებებში არ ყოფილა, ამიტომ იგი შემეცნების მთავარ წყაროდ შეგრძნებებს მიიჩნევდა. იგი ორი გარდამავალი ეპოქის-ჰუმანიზმისა და კაპიტალიზმის მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ჰუმანისტების მსგავსად, კაპიტალისტებმაც გაილაშქრეს ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

კომენსკის პედაგოგიური იდეები, უმეტესად მის ნაშრომში- "დიდ დიდაქტიკაში" არის გადმოცემული. მან წამოაყენა მისი დროისთვის არაერთი პროგრესული იდეა, შემოგვთავაზა სასკოლო სისტემის ორგანიზების მოდელი, ემხრობოდა ქალთა და ვაჟთა თანაბარუფლებიანობას სწავლის პროცესში, მხარს უჭერდა სახალხო განათლებას., სრულყო ჰარმონიული აღზრდის იდეა-მას შემატა შრომითი აღზრდა. კომენსკიმ სრულიად დაგმო შუასაუსუნეების სწავლების მოდელი. შრომითი აღზრდა, ცხადია, ითვალისწინებდა სწავლა-აღზრდას პრაქტიკული მეთოდებით.

---

[1] ჰარმონიული აღზრდა: გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური, მორალური შრომითი აღზრდა (ეს უკანასკნელი კომენსკიმ შემატა).

[2] იან ამოს კომენსკი - *კომენიუსი* (ჩეხ. Jan Amos Komenský). (28 მარტი 1592, ნივნიცე, სამხრეთი მორავია — 15 ნოემბერი 1670, ამსტერდამი). ჩეხი პედაგოგი, განმანათლებელი, მწერალი და მოაზროვნე, პედაგოგიკის ფუძემდებელი.

ცხადია ახალ ეპოქას ახალი ადამიანი ჭირდებოდა, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეიარაღებული, რომელიც შეძლებდა ფეხი აეწყო მძლავრი კაპიტალიზმისთვის. ამიტომაც, ამ ეპოქის წარმომადგენლები ყურადრებას ამახვილებდნენ შეგრძნებებით, პრაქტიკით სწავლებაზე, ცოდნაზე, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა რეალურ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო გადიოდა დრო, ადამიანი მით უფრო ექვემდებარებოდა პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნებს, ცდილობდა თავისი უნარ-ჩვევები, ცოდნა, განათლება რაც შეიძლებოდა პრაქტიკული გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევად, ცხადია, სქოლასტიკურ-დოგმატური სწავლეის მეთოდები არ გამოდგებოდა, ამიტომ ნელ-ნელა სწავლებაში ინერგებოდა მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, რომლებიც ჩვენს დროში, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია. თანამედროვე სამყაროს ესაჭიროება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი, რაც უფრო მეტი უნარ-ჩვევა ექნება განვითარებული ადამიანს, იგი უფრო მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვიტარება კი ხდება სხვადასხვა სწავლების მეთოდის გამოყენებით, მაგ: წერითი მეტყველების განვითარებისთვის საჭიროა წერითი მეთოდის გამოყენება, ზეპირი მეტყველებისთვის-ვერბალურის.

ამ თავში გავეცანით თუ როგორ ცვალებადობდა სწავლა-აღზრდის მიზანი დროის სვლასთან ერთად. პირველყოფილი საზოგადოების ადამიანი, მომავალი თაობისთვის, მხოლოდ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემით კმაყოფილდებოდა, რადგან მათი უმთავრესი საზრუნავი თვითგადარჩენა იყო. ამისთვის ისინი იყენებდნენ პრაქტიკულ საქმიანობას, თუმცა სწავლების მეთოდთა გამოკვეთილი სახე აქ არ გვხვდება.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში გამოიკვეთა ისეთი სწავლების მეთოდები როგორებიცაა, მაგ: ვერბალური მეთოდი, რომელშიც შედიოდა მონოლოგი, დიალოგი, სოკრატესეული მეთოდები-მაიევტიკა და ევრისტიკა, პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდები და ა.შ. ცხადია, მეთოდთა მრავალფეროვნება გამოიწვია სხვადასხვა ადგილას სწავლა-აღზრდის მიზნის ცვალებადობამ. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ათენი და სპარტა, რომლებიც უკვე განვიხილეთ.

რომის იმპერიის დაცემამ გზა დაუთმო ქრისტიანული რელიგიის გამეფებას, რასაც სქოლასტიკურ-დოგმატური სწავლების მეთოდები მოჰყვა. ის ფაქტი, რომ ამ ეპოქაში

მოსწავლეებს ფაქტობრივი მასალის დაზეპირება უწევდათ ცხადს ხდის, რომ იყენებდნენ სწავლების ვერბალურ მეთოდებს, ასევე წიგნზე მუშაობის მეთოდებს. როგორც ცნობილია, წიგნების გადაწერა სწორედ ელკესია-მონასტრებში ხორციელდებოდა, ანუ აქ წერითი მეთოდებიც გამოიყენებოდა.

რაც შეეხება რენესანს ეს უფრო თეორიული იდეოლოგია იყო ვიდრე პრაქტიკა. ჰუმანისტების შეხედულებების თანახმად, სწავლება მიწიერი უნდა ყოფილიყო, ანუ მოსწავლისთვის უნდა გადაეცათ ისეთი ცოდნა-ჩვევები, რაც მას რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებოდა. ამისთვის ისინი იყენებდნენ, მაგ: დემონსტრირების მეთოდს, რაც მასალას მისაწვდომს ხდიდა. ასევე ისინი სწავლების პრაქტიკულ მეთოდებს იყენებდნენ. როდესაც ვამბობთ, რომ ჰუმანიზმს აინტერესებდა ადამიანის აზროვნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის მისაღწევად ისინი გამოიყენებდნენ დიალოგის მეთოს, სინთეზისა და ანალიზის მეთოდებს, რამეთუ კამათისა და კრიტიკის გარეშე შეუძლებელია ჯანსაღი აზრის განვითარება.

კაპიტალიზმმა ისე დაუქვემდებარა ადამიანი პრაქტიკულ ცხოვრებას, როგორც სხვა არცერთ ეპოქას არ გაუკეთებია ეს მანამდე. ამიტომაც ამ ეპოქაში ყველაზე მეტად სწავლების პრაქტიკული მეთოდები დაწინაურდნენ. შეგვიძლია ამას "კეთებით სწავლება" ვუწოდოთ.

როგორც ვხედავთ, საუკუნეთა განმავლობაში სწავლების სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ სწავლა-აღზრდის სასურველი მიზნის მისაღწევად. ეს მეთოდები დროთა განმავლობაში იხვეწებოდნენ, მდიდრდებოდნენ და ემსახურებოდნენ ადამიანისთვის ცოდნის გადაცემას.

მართალია საზღვარგარეთს დიდი გამოცდილება აქვს განათლების სფეროში და ჩვენი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ გამოცდილების გვერდის ავლა არ შეიძლებოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს, როგორც უდიდესი წარსულისა და კულტურის მატარებელ ქვეყანას, განათლების სფეროში, არანაკლებ, დიდი და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს. საქართველოში განათლების საკითხებმა, არაერთი ქარტეხილი გამოიარა და ასე მოაღწია თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცემდე. აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ საქართველოს ისტორიული გამოცდილება განათლებასა და, კერძოდ კი

- სწავლების მეთოდებთან მიმართებაში. ქვემოთ ვეცდებით, ეპოქალურ ჭრილში, მოკლედ განვიხილოთ სწავლების მეთოდები საქართველოში.

ქართული პედაგოგიკის ისტორია გ. სიხარულიძის რედაქტორობით (1974) გვამცნობს, რომ სზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით, საქართველოში შემდეგი ისტორიული პერიოდები გამოიყოფა: *"1. სწავლა-აღზრდა პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში (უძველესი დროიდან VI საუკ. ძვ. წ. აღ-ით); 2. სწავლა-აღზრდა და განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში (ძვ. წ. აღ-ით VI საუკუნიდან IV საუკუნემდე); 3. სწავლა-აღზრდა, სკოლა და პედაგოგიური აზროვნება ფეოდალურ საქართველოში (V-XVIII საუკ.); 4. სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში (XIX საუკუნის I ნახევრიდან 1921 წლამდე) და 5. სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება საბჭოთა საქართველოში (1921-1972 წწ.)."*[ქაჯია, სიხარულიძე, სიგუა, ლორთქიფანიძე, სარიშვილი. 1974:5]

1. **სწავლა-აღზრდა პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში (უძველესი დროიდან VI საუკ. ძვ. წ. აღ-ით).** როგორც ცნობილია, ამ პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე ეწეოდნენ შრომით საქმიანობას, როგორიცაა ნადირობა, მეთევზეობა, მესაქონლეობა, მოგვიანებით მიწათმოქმედება, მევენახეობა. თავდაპირველად ამზადებდნენ ქვის იარაღებს, მოგვინებით დაიწყეს რკინის, ალუმინის, სპილენძის, როგორც გადმოცემით არის ცნობილი ოქროს დამუშავებაც (რაც, როგორც ქართული პედაგოგიკის ისტორია გვამცნობს დასტურდება არგონავტების მითით). (ქაჯია, 1974) ანუ, როგორც საზღვარგარეთის მაგალითზე ვნახეთ, ასევე, ჩვენშიც სწავლა-აღზრდა მიმდინარეობდა **პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემით**. *"...ცოდნა-გამოცდილების შესწავლა-დაუფლება წარმოებდა, რომელიც ყველაზე გამოცდილი ოსტატის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა **ინდივიდუალურად** და, შეიძლება, ზოგჯერ **ჯგუფურადაც**."* [ქაჯია...1974:10]. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლა-აღზრდა მიმდინარეობა პრაქტიკულ-ვარჯოშობითი მეთოდებით და მას გარკველწილად ორგანიზებული სახე ჰქონდა. თუმცა, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე სწავლების მეთოდებზე საუბარი ჯერ ადრეა.

2. **სწავლა-აღზრდა და განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში (ძვ. წ. აღ-ით VI საუკუნიდან IV საუკუნემდე.** არსებობს მოსაზრება, რომ უკვე **ადრეკლასობრივ**

საზოგადოებაში არამარტო **ზეპირი სწავლების სკოლები** არსებობდა, არამედ ქართული დამწერლობის გაჩენიდან სწავლა-აღზრდას ორგანიზებული ხასიათი ქონდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში კოლხეთში არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც **უმაღლეს რიტორიკულ განათლებას** იღებდნენ. ასე რომ, ამ პერიოდის შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რო უძველეს დროში საქართველოს ტერიტორიაზე არამარტო პრაქტიკულ ცოდნა-ჩვევებს შეიმეცნებდნენ, არამედ უმაღლეს როტორიკულ-ფილოსოფიურ განათლებასაც იღებდნენ. გამომდინარე ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან, ამ პერიოდის საქართველოში უნდა ეარსება სწავლების, როგორც ვერბალურ, ასევე წერით მეთოდებსაც, ამასთან დიდი წარმატებიტაც უნდა ეარსებათ, რადგან, პირველ რიგში ყველა ერის პატივი არ არის გააჩნდეს თავისი ფლოსოფიური აზრი, რაც საქართველოს ოდითგანვე ქონდა და ამასთან ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა ამტკიცებს, იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდის საქართველოში უნდა ეარსება სწავლების ორგანიზების ფორმებს და სწავლების მეთოდებსაც, რადგან მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა უმაღლესი რიტორიკული განათლების მიღება. ამ სასწავლებლის უპირველს მიზანს უნდა წარმოადგენდეს რიტორიკული განათლების მიღება, ხოლო შედეგს ორატორი, რომელსაც საუბრის ნიჭი საუკეთესოდ ექნებოდა განვითარებული. ზემოთ ჩვენ წარმოვაჩინეთ თუ რაოდენ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სწავლების მეთოდი, სწავლების მიზნისა და შედეგის დაკავშირებაში, ასე რომ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ამ სასწავლებელში სწავლების ზეპირსიტყვიერი მეთოდები საუკეთესოდ უნდა ყოფილიყო განვითარებული.

3. სწავლა-აღზრდა, სკოლა და პედაგოგიური აზროვნება ფეოდალურ საქართველოში (V-XVIII საუკ.).

ადრეფეოდალური ხანა. ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელებას, როგორც ყველგან, ასევე ჩვენთანაც მოყვა ანტიკური განათლების კერების ნგრევა და საეკლესიო სკოლების გავრცელება. აქაც, როგორც ევროპის მაგალითზე ვნახეთ გამეფდა რელიგიურ-დოგმატური აღზრდა-განათლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს საშინაო აღზრდის არსებობაც, რაც სრულიად ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებდა. დიდგვაროვნები, როგორც წესი თავიანთ შვილებს აღსაზრდელად გააბარებდნენ.

გამომდინარე იქედან, რომ ქართული დამწერლობა სავარაუდოდ ძვ. წ. აღ-ით III საუკუნეში შეიქმნა, /ქართველ მკვლევართა ვარაუდი/, ფეოდალურ ხანაში გავრცელებული იყო სწავლების წერითი მეთოდი. ასევე, ადრეფეოდალურ ხანაში შეგვიძლია ვისაუბროთ უმაღლესი განათლების კერებზე, რომლებიც მართალია ქვეყნის შიგნით, სავარაუდოდ, არ არსებობდა, თუმცა მის ფარგლებს გარეთ მრავლად იყო. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ V საუკუნეში სირიაში დაარსებული მონასტრები პეტრე იბერის მიერ. სადაც იგი განავრცობდა განათლებას, როგორც წესი ამ დროის ეკლესია-მონასტრებში მრავლად იყვნენ გადამწერები, ანუ ფართოდ იყო გავრცელებული წერითი მეთოდი.

XIII საუკუნეში გავრცელებული ტერმინი *"სიბრძნე ამა სოფლისა ფილოსოფოსთა"*, უნდა აღნიშნავდეს საერო განათლების არსებობას. [ქაჯია...1974:44]. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ დროის განათლება მხოლოდ-რელიგიურ დოგმატური არ ყოფილა და საერო განათლებაც არსებობდა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში. ამ დროის საქართველოში, ძირეული პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებები X-ე საუკუნეში დაიწყო და უკვე Xl-Xll საუკუნეებში საქართველო წარმოადგენდა ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს. აღსანიშნავია, ამ დროის საგანმანათლებლო კერები, მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ათონის ივერთა მონასტერი, სადაც ექვთიმე ათონელი[1] და შემდგომ გიორგი ათონელი [2] მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ. აღსანიშნავია პეტრიწიონის აკადემია, სადაც ტრივიუმ-კვადრიუმის საგნები ისწავლებოდა მათ შორის ასტრონომია, რისთვისაც, აშკარაა, სწავლების სხვა მეთოდებთან ერთად **უშუალო დაკვირვების მეთოდიც** უნდა გამოეყენებინათ. გელათის და იყალთოს აკადემიები განათლების უძველესი კერები იყო. ასევე, ქართულ აკადემიებშიც, ძირითადად ტრივიუმ-კვადრიუმის საგნები ისწავლებოდა. აქ, აგრეთვე ისწავლებოდა ხელობა, მაგ: მჭედლობა, ასევე, მევენახეობა-მეღვინეობა და ა.შ. რაც, ცხადია, სწავლების **პრაქტუკული მეთოდების** გამოყენებას მოითხოვდა.

---

[1] **ექვთიმე (ეფთვმე) მთაწმიდელი** (დ. 955 — გ. 1028) — ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი.

[2] **გიორგი მთაწმიდელი**, გიორგი ათონელი, (დ. სავ. 22–დან 29 მარტის ჩათვლით, 1009 — გ. 29 ივნისი, 1065, კონსტანტინოპოლი, დაკრძალულია ათონის ივერთა მონასტერში) — ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი.

ვნახეთ, რომ დროის სხვალსთან ერთად განათლება საქართველოში საერო ხასიათს იძენდა, მრავალფეროვნდებოდა სწავლების მიზნები და შესაბამისად სწავლების მეთოდები.

სამწუხაროდ, საქართველოს ბედკრული ისტორია სულ თან ზდევდა და შემდგომი საუკუნეები განათლების სფეროსთვის, მტერთა მრავალი შემოსევის გამო, ერთგვარი ჩავარდნა იყო ვიდრე, XVll საუკუნემდე სანამ, არ დაიწყო ხელახალი აღმასვლა. XVll საუკუნის დასაწყისიდან საეკლესიო სკოლებშიც კი შეიჭრა საერო განათლება. (ქაჯია, 1974). ამავე პერიოდში დაიწყო განვითარება პროფესიულმა განათლებამ, რომელიც ემპირიზმს ეფუძნებოდა.

თბილისისა და თელავის სემინარიები. არჩილის, ვახტანგVl-ისა და ერეკლე ll-ის ღირსეულმა მოღვაწეობამ შექმნა პირობები იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამის ნიადაგზე 1755 წელს გაიხსნა თბილისის სემინარია, ხოლო 1782 წელს თელავის. *"მოსკოვის აკადემიის **სქოლასტიკა** განსაკუთრებით გადმოინერგა თბილისისა და თელავის სემინარიებში".* [ქაჯია...1974:102]. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისისა და თელავის სემინარიებში სწავლა შედარებით საერო ხასიათს ატარებდა. სემინარიებში წარმოებდა **მსჯელობა-განხილვები,** რაც მეცნიერული აზრის განვითარებას უწყობდა ხელს. აგრეთვე, სემინარიებში გავრცელებული ყოფილა **კითხვა-პასუხის მეთოდიც**. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია თბილისის სემინარია, ხოლო თელავის სემინარიამ XIX საუკუნის დასაწყისამდე იარსება. (ქაჯია, 1974)

3. სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში (XIX საუკუნის I ნახევრიდან 1921 წლამდე). ამ პერიოდისთვის მაგალითისთვის მოვიყვანოთ **თბილისის გიმნაზია,** ყოფილი კეთილშობილთა სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა, სადაც შემდეგი დისციპლინები ისწავლებოდა: **ქართული, თათრული, გერმანულ, ფრანგული ენები, ფიზიკა, მათემატიკა, საღვთო სჯული, სტატისტიკა და ა.შ.**

მართალია, ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება თუ სწავლების რომელ მეთოდებს იყენებდნენ, მაგრამ, მაგალითისთვის ავიღოთ ენების შესწავლა, რომელიც მინიმუმ სამი სწავლების მეთოდს მოითხოვს-**ვერბალურს, წერითსა და წიგნზე მუშაობის**.

სასწავლო დისციპლინებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლების კლასიკური მეთოდები კარგად იყო ათვისებული. ასევე, უნდა ვახსენოთ ცარიზმის პოლიტიკა და ე.წ. სწავლების **მუნჯური მეთოდი,** რომელსაც იგი ნერგავდა. ეს მეთოდი ითალისწინებდა რუსული ენის სწავლებას მოსწავლისთვის მშობლიურ ენაზე ახსნის გარეშე, ამ დროს მასწავლებლებს უწევდათ სიტყვები მოძრაობებით, თვალსაჩინოების მეთოდის გამოყენებით აეხსნათ, რაც ცხადია გაუგებარს ტოვებდა სიტყვების მნიშვნელობებს და მოსწავლეებს მათი **მექანიკურად დაზეპირება** უწევდათ, ისე რომ შინაარსი არ ესმოდათ.

უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური ვითარებისა ამ დროის საქართველოში არაერთი სასწავლებელი და ცნობილი მოაზროვნე არსებობდა, რომელთა პედაგოგიკური იდეები ყურადსაღებია, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და უმჯობესია შემდეგ პერიოდზე გადავინაცვლოთ.

5. **სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება საბჭოთა საქართველოში (1921-1972 წწ.).** 1921 წლიდან საქართველოს ისტორიაში ახალი გვერდი გადაიშალა. იგი გახდა საბჭოთა სოციალისტური კავშირის წევრი, რაც 1991 წლამდე გაგრძლებდა. სოციალისტურმა რეჟიმმა აღზრდის ახალი მიზანი წამოაყენა-**საბჭოთა მოქალაქის აღზრდა.** *"...პრაქტიკაში დაინერგა სწავლების აქტიური მეთოდები (ექსკურსია, ლაბორატორიული მუშაობა, წიგნზე და სხვა სასწავლო მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობა და ა.შ.)."*[ქაჯია...1974:246].

საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, განათლების სფეროში ეტაპობრივად დაიწყო ცვლილებებლი და ევროპულ მოდელებზე გადასვლა, რაც ნათლად ჩანს საქართველოს ბოლონიის პროცესთან მიერთებაში.

როგორც ვნახეთ, განათლებას საქართველოში, მართლაც, უდიდესი წარსული აქვს, ეპოქისდამიხედვით ცვალებადობდა სწავლა-აღზრდის მიზანი და ამის შესაბამისად მიზნის მისაღწევი გზები-სწავლების მეთოდები. საქართველოში განათლების მიღების პროცესში უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, მაგ: პრაქტიკულ-ვარშიშობით, ვერბალურ, წერით, დაკვირვების მეთოდებს, რათა მიეღწიათ სწავლების სასურველი მიზნისა და შედეგისთვის.

§ 1.4. საქართველო თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში – ბოლონიის პროცესი - სწავლების მეთოდები

იმისთვის, რომ შევეხოთ თანამედროვე უმაღლეს განათლებაში შემოთავაზებულ სწავლების მეთოდებს, უნდა ვისაუბროთ ბოლონიის პროცესის შესახებ. ბოლონიის პროცესს საფუძველი 1998 წელის 25 მაისს ჩაეყარა, **სორბონის დეკლარაციაზე** ხელმოწერით. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის განათლების სფეროზე პასუხისმგებელმა პირებმა. სორბონის დეკლარაციაში წერია: ევროპულმა პროცესებმა ბოლო დროს რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპა არა მარტო საერთო ვალუტა, ბანკები და ეკონომიკაა, არამედ იგი ასევე უნდა გახდეს "ცოდნის ევროპა". (https://eqe.ge/res/docs/Sorbonisdeklaracia1998.pdf) ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად, ამავე დოკუმენტის მიხედვით, მიჩნეულია ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, რამაც შესაძლებელი უნდა გახადოს სწავლების დაწყება და გაგრძელება ევროპის ნებისმიერ უნივერსიტეტში, სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე. ასევე, სორბონის დეკლარაციაში, საუბარია იმაზე, რომ ხელმომწერი მინისტრები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საშუალებითაც შესალებელი იქნება, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მობილობა და დასაქმების ხელშეწყობა. სობრონის დეკლარაციაშივე გაჟღერდა მოწოდება ევროპის სხვა ქვეყნებისადმი, რომ ხელი შეეწყოთ ამ მიზნის განხორციელებაში. ამ მოწოდებამ გაამართლა, რაც დასტურდება 1999 წლის 19 ივნისის - **ბოლონიის დეკლარაციით**, რომელსაც ხელს აწერს, ევროპის 29 ქვეყნის განათლების სფეროზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის ზემოთ ხსენებული 4 ქვეყნის წარმომადგენლები. ბოლონიის პროცესი, ორიენტირებულია უმაღლესი განათლების ჰარმონიზაციისაკენ. ამ საერთო მიზნის მიღწევისთვის, როგორც ბოლონიის დეკლარაციაში წერია, უნდა მიეღწიათ შემდეგი მიზნებისთვის:

1. უნდა შეექმნათ ხარისხების ისეთი სიტემა, რომელთა შედარება მარტივი იქნებოდა, აქვე მოიაზრებოდა დიპლომის დანართის შემოღება;

2. ასევე, უნდა შექმნილიყო ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემა - დიპლომამდელი და დიპლომის შმდგომი. განათლების მეორე საფეხურზე დასაშვებად აუცილებელი უნდა გამხდარიყო სულ მცირე სამ წლიანი საფეხურის დამთავრება და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება. მეორე საფეხურის დამთავრების შემდგომ კი უნდა მიენიჭოს მაგისტრის, ან დოქტორის აკაედემიური ხარიხსი;

3. საუბარია ისევ ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაზე;

4. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა და სხვ. (https://eqe.ge/res/docs/Boloniisdeklaracia1999.pdf)

ევროპას ამ მიზნების მიღწევა დასახული ქონდა 2000-იანი წლებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ბოლონიის პროცესმა მიაღწია დასახულ მიზნებს და უფრო მზარდი პროცესი გახდა, რომელიც დღეის მონაცემებით 49 წევრ ქვეყანას მოიცავს, მათ შორის საქართველოს, რომელიც მისი წევი 2005 წელს გახდა. სწორედ აქედან იწყება ქართული უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია და ევროპულ სტანდარტებზე გადართვა.

უმჯობესი იქნება, ზოგადად მიმოვიხილოთ ის ძირითადი ცვლილებები, რომლებიც ბოლონის პროცესმა გამოიწვია უმაღლესი განათლების სფეროში, შემდგომ კი დეტალურად შევეხოთ ჩვენს ცენტრალურ საკითხს - სწავლების მეთოდებს უმაღეს სკოლაში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უმაღლესი სკოლა გადავიდა სამსაფეხუროვან სწავლებაზე. თითოეული საფეხურისთვის განისაზრვრა სწავლების შედეგები და კომპეტენციები, აგრეთვე სწავლების ხარისხი. შეიცვალა **სწავლების მეთოდები**, იგი უნდა გამხდარიყო სტუდენტზე ორიენტირებული. აგრეთვე, უნდა შეცვლილიყო სწავლების პრიციპები და მიდგომები (ჭკუასელი, 2009). თუმცა, ცხადია, რეფორმის გატარება უმაღლეს სკოლაში რთული საკითხია და ამ კუთხით გარკვეული პრობლემები დღესაც არსებობს. ჩვენი საკვლვი საკითხი ერთ-ერთია ამ პრობლემათაგან. კერძოდკი, გარკვეული "დაპირისპირება" არსებობს სწავლების

მეთოდთა კლასიკურ განმარტებაში და ბოლონიის პროცსის მიერ შემოთავაზებულ მეთოდთა ჩამონათვალში. ამ საკითხს მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.

§ 1.5 სწავლების კლასიკური და თანამედროვე მეთოდები

პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგაჩნია განვიხილოთ მეთოდთა კლასიკური ვარიანტი. როგორც, დ. ლორთქოფანიძე (1983) წერს, დიდაქტიკაში სწავლების მეთოდებს გარკვეული ნიშნების მიხედვით აჯგუფებენ. სწავლების მეთოდთა, ამგვარ დაჯგუფებას კი **მეთოდთა კლასიფიკაციას** უწოდებენ. შესაძლოა, სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციას სხვადასხვა საფუძლები ქონდეს, მაგალითად, იგი შეიძლება დაჯგუფებული იყოს **გნოსეოლოგიური საფუძვლების მიხედვით** და, ამგვარად, განვასხვავოთ ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ამათ შესაბამისად კი - სინთეზური და ანალიზური მეთოდები. ასევე, მიღებულია სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია **მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიანობის ხასიათის მიხედვით -** ანალიზურ-ძიებითი, ახსნით-ილუსტრაციული, კვლევითი მეთოდები. მეთოდთა კლასიფიკაციას ახდენენ **სწავლების სახეების მიხედვითაც** - ახალი მასალის ახსნის, ცოდნის შემოწმება-შეფასებისმეთოდები და სხვ. თითოეული ამ კლასიფიკაციის საერთო მიზანს წარმოადგენს მოსწავლის/სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენა, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარება. დიდაქტიკაში, სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ და მისაღებ ვარიანტს წარმოადგენს, სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია ცოდნა-ჩვევების ძირითადი წყაროების მიხედვით, ეს წყაროებია:

1. მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა;
2. წიგნი და, საერთოდ, წერილობითი წყაროები;
3. მოვლენებსა და საგნებზე უშუალო დაკვირვება;
4. შრომა საქმიანობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მონაწილეობა.

დ. ლორთქიფანიძე (1983) აგრეთვე გვთავაზობს სწავლების მეთოდთა ჯგუფებს, რომლებიც შეესაბამება სწავლების ძირითად წყაროებს, ესენია:

1. **ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდებს:** ზეპირსიტყვიერი, იგევე ვერბალური მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია: აკრომატიკული და ეროთემატიკური მეთოდები.

ა. აკრომატიკული მეთოდები თავის თავში რამდენიმე მეთოდს აერთიანებს:

1. თხრობითი მეთოდი. რადგან, თხრობითი მეთოდი აკრომატიკულ მეთოდთა ჯგუფს მიეკუთნება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ითვალისწინებს თხრობას მონოლოგის გზით. ამ დროს მასწავლებელი/ლექტორი მოსწავლეს/სტუდენტს ცოდნას გადასცემს უწყეტი თხრობის გზით. თხრობის მეთოდი სამ საფეხურს მოიცავს: თხრობის შესავალი,სადაც სათხრობი თემის გახნობა ხდება; თხრობის ძირითადი ნაწილი, რომლის დროსაც ხდება მასალი ახსნა და განმარტება; დასკვა, სისტემაში მოდის მოთხრობილი ინფორმაცია და კეთდება ძირითასდი დასკვნები.

2. სასკოლო-ლექციური მეთოდი. აკრომატიკული მეთოდის ეს სახეობა ძირითადად საშუალო სკოლაში, მაღალ კლასებში გამოიყენება. სასკოლო ლექციური მეთოდის გამოყენებამდე მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეამოწმოს, თუ როგორი ნიადაგი აქვს მომზადებული აუდიტორიას და არის, თუ არა იგი ახალი ცოდნის შესამეცნებლად მზად. სწორედ ეს ნიუანსი განასხვავებს სასკოლო ლექციური მეთოდის უმაღლეს სკოლაში არსებული ლექციური მეთოდისგან.

3. **ლექცია.** ლექცია აკრომატიკური მეთოდების ის სახეობაა, რომელიც ყველაზე ხშირად უმაღლეს სკოლაში გამოიყენება და არამარტო მეთოდია, არამედ სწავლების ორგანიზაციის უმთავრესი ფორმაც. იგი ითვალისწინებს მასალის მონოლოგის მეთოდით, უწყვეტად გადაცემას აუდიტორიისთვის. სტრუქტურულად ლექცია შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს: შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი. შესავალი ძირითადად საორგანიზაციოს საკითხებს ეხება. ძირითადი ნაწილი კი ლექციის უდიდეს ნაწილს მოიცავს, ამ დროს ხორციელდება ლექციის მიზანი - ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა სტუდენტებისთვის. დასკვნით ნაწილში კი ძირითდი დასკვენები კეთდება ახსნილი მასალის ირგვლივ. ასევე, ეს ნაწილი ითხალისწინებს სტუდენტებისთვის დავალებების მიცემას.

ბ. ეროთემატიკური მეთოდები. მეთოდთა ამ ჯგუფის ძირითადი წარმომადგენელია **საუბრის მეთოდი.** საუბრის მეთოდის ითვალისწინებს

კითხვა-პასუხის მეთოდით ახალი მასალის გადაცემას, ძველის შემოწმება/შეფასებას, ან უკვე გადაცემული მასალის სისტულეში მოყვანას. ამ მეთოდს ხშირად სოკრატესეულ მეთოდს უწოდენებ, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. იმისთვის, რომ საუბრის მეთოდი წარმატებით იქნეს გამოყენებული, სასურველია აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. დასმული კითხვა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მასალას, მის სპეციფიკას, მოსწავლის/სტუდენტის განვითარებისდონეს;
2. დასმული კითხვა ხელს უნდა უწყობდეს აზროვნების წახალისებას, ძიებითი პროცესის აქტივაცია;
3. კითხვა რაც შეიძლება მოკლედ და მკაფიოდ უნდა იქნეს დაცული და სხვ. (ლორთქიფანიძე, 1983).

2. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.** წიგნზე მუშაობის მეთოდი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია ცოდნის გადაცემისა და ათვისებისთვის, რამეთუ სწორედ წიგნები ატარებენენ კაცობრიობის ისტორია, კულტურას, კაცობრიობის მთელს მონაპოვარს. (ლორთქიფანიძე, 1983).

წიგნზე მუშაობის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ, ესენია:

1. ახსნითი კითხვის/კომენტირებული კითხვისმეთოდი;
2. დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.

ახსნითი კითხვის მეთოდს ძირითადად ზოგადსაგნმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე იყენებენ. სახელწოდებაც გვეუბნება, რომ ეს მეთოდი ითვალისწინებს წაკითხულის გზადაგზა ახსნას მასწავლებლის მიერ.

ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა **დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი**, რომელიც ხშირად გამოიყებება უმაღლეს სკოლაში. ეს მეთოდი ითვალისწინებს არა მარტო წიგნის, არამედ ყველა ბეჭდური წყაროს დამოუკიდებლად დამუშავებას. სწორედ ამიტომ არის იგი გამეყენებული უმაღლეს სკოლაში ძირითადად, რადგან ხშირ შემთხვევაში სტუდენტს უწევს დამოუკიდებლად მოიძიოს და დაამუშავოს მასალა.

3. **საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეთოდი.** საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეთოდთა შორის გამოყოფენ ლაბორატორილულ და დემონსტრირების მეთოდებს, რომლებზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

ა. ლაბორატორიული მეთოდი. სწავლების მეთოდთა შორს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სწავლების ლაბორატორიული მეთოდი. იგი, დარგის სპეციფიკიდან ამომდინარე აქტიურად გამოიყენება, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე უმაღლეს სკოლებში. ლაბორატორიული მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები/სტუდენტები მასწავლებლების/ლექტორების ხელმძღვანლობით უშუალოდ აკვირდებიან საგნებსა და მოვლენებს, აკეთებენ ცდებს, შეიმეცნებენ სინამდვილეს. სწავლების ეს მეთოდი ყველაზე მეტად უწყობს ხელს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი ძირითადად საბუნებსმეტყველო დისციპლინებში გამოიყენება (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და ა.შ.)

ბ. დემოსნტრირების მეთოდი. დემონსტრირების მეთოდი, საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეთოდთა ერთ-ერთი ნაირსახეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ დემონსტირებისა და ლაბორატორიული სწავლების მეთოდები თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელების გზაცაა. ამ მეთოდის გამოყენება, ძირითადად უკავშირდება ტექნოლოგიებს, როგორიცაა, მაგალითად კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ლექტორს შეუძლია სტუდენტებისთვის პრეზენტაციის ჩვენება. როგორც, წესი დემონსტრირების მეთდი შერწყმულია სხვა მეთოდთან, მაგალითად ზეპირსიტყვიერ მეთოდთან, რომლის დროსაც ლექტორს შეუძლია ახსნას მასალა და ახსნილის საილუსტრაციოდ გამოიყენოს პრეზენტაცია. ამ მეთოდის გამოყენება ნებისმიერ დისციპლინაშია შესაძლებელი. (ლორთქიფანიძე, 1983).

4. შრომითი სწავლების მეთოდი, (პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი). როგორც ვიცით, ჰარმონიულ აღზრდას შრომითი აღზრდა კომენსკიმ დაუმატა, რაც მისი უდიდესი დამსახურებაა. შრომითი სწავლების მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს ფიზიკაში, ქიმიაში, მათემათიკაში და სხვ. შრომითი სწავლების მაგალითად, შესაძლებელია განვიხილოთ პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი. ეს მეთოდი ითვალისწინებს ერთიდაიგივე, ან მსგავსი აქტივობის რამდენჯერმე განმეორებას. ასეთი აქტივობა შეიძლება იყოს ცდა, სახელოსნოში მუშაობა, მიწის ნაკვეთზე მუშაობა და სხვა მრავალი. უნდა აღინოშნოს, რომ ეს მეთოდი ძალზედ აქტიურად გამოიყენება პროფესიულ სწავლებაში. ასევე, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ჩამოყალიბებაში. (ლორთქიფანიძე, 1983).

5. წერითი მუშაობის მეთოდი.

უმაღლეს სკოლაში ამ მეთოდის შემდეგ საახეებს ვხვდებით:

- მასალის დაკონსპექტება;
- თეზისის შედგენა;
- კონსპექტის გაკეთება;
- რეფერატის დაწერა;
- ესეს დაწერა და სხვ.

საინტერესო იქნება, აქვე წარმოვაჩინოთ განსხვავება **სწავლების მეთოდსა** და **სწავლების ტექნოლოგიას** შორის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა, ან სხვადასვა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარება შეუძლებელია ერთი კონკრეტული მეთოდით. ლექციის მსვლელობისას ლექტორი, ხშირად რამდენიმე მეთოდს ერთდროულად იყენებს მაგალითად, ლექტორი სხნის ლექციას დიალოგის მეთოდით, რაც ხელს უწყობს დისკუსიის წამოჭრას, შეიძლება ახსნილის ილუსტრაციისთვის გამოიყენოს პრეზენტაცია, ამგვარად სწავლების პროცესი მიმდინარეობს მეთოდთა კომბინაციით. სწორედ ამას უწოდებენ **სწავლების ტექნოლოგიას**. *"...ანუ, მეთოდთა ერთიანობა, სხვადასხვა დროს კონკრეტულ მეთოდთა სხვადასხვაგვარი კომბინაცია".* [ჭკუასელი, 2009:284].

სასურველია აქვე ვისაუბროთ **სწავლების ხერხის** შესახებ. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით განათლების სპეციალისტებისთვის (2007), სწავლების ხერხი შეესაბამება სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძირიტად პრინციპებს. მაგალითად თუ მასწავლებელი იყენებს სწავლების პრაქტიკულ მეთოდებს მას შეუძლია სწავლების ხერხად გამოიყენოს სიმულაცია-როლური თამაშები, გონერივი იერიშის ხერხი სწავლების სოკრატული მეთოდების დროს და ა.შ.

ზემოთ, ვნახეთ, თუ როგორ იცვლებოდა აღზრდა - სწავლების მიზნის ცალდებადობასთან ერთად სწავლების მეთოდები. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, ბოლოონიის პროცესმა შემოგვთავაზა სწავლების მეთოდთა ერთგვარად, მოდიფიცირებული ვარიანტი. იმისთვის, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რას უწოდებენ სწავლების მეთოდს მოვიყვანთ ციტატას სახელმძღვანელოდა - "უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში" "Tuning project,"" (2008). *"ხშირად ერთი და იმავე*

ტერმინით სწავლების სხვადასხვა მეთოდი აღინიშნება (მაგ. სემინარი, ლექცია და ა.შ.), ან სხვადასხვა სახელით ერთი და იგივე აქტივობა აღიწერება". ამ განმარტებიდან ცხადად იკვეთება ის გარემოება, რომ ბოლონიის პროცესის მიხედვით სემინარი და ლექცია მეთოდებად არის მიჩნეული, რაც სინამდვილეში სწავლების ორგანიზების ფორმას წარმოადგენს. ამ ჩამონათვალის გავრცობილი ვერსიის ნახვა შემდეგ ციტირებაში შეგვიძლია - *"უნივერსიტეტები სწავლების მრავალ ტექნიკას იყენებენ. სწავლების მეთოდების შერჩევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განათლების ფორმაზე (დასწრებული სწავლება, დისტანციური სწავლება და ა. შ.). კონსულტაციების შედეგად შედგა შემდეგი ჩამონათვალი (რომელიც, ცხადია, სრულყოფილი არ არის):*

- *სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში);*
- *კონსულტაცია (ტუტორიალი);*
- *კვლევითი სემინარი;*
- *სავარჯიშოების (პრაქტიკული) კურსი;*
- *კლასში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა (ვორკშოპი);*
- *პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სხდომები;*
- *ლაბორატორიული მეცადინეობა;*
- *სადემონსტრაციო კლასები;*
- *პრაქტიკა (ინტერნშიპი);*
- *სამუშაო პრაქტიკა;*
- *საველე პრაქტიკა/ველზე მუშაობა;*
- *დისტანციური სწავლება, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელოების ან მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე მიმდინარეობდეს".* [კაჭარავა, 2008:69]

რადგან, ჩვენი საკვლევი საგანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კმაყოფილება სწავლების მეთოდებით, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ სწავლების იმ მეთოდებზე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს. თსუ-ს ვებგვერდზე წარმოდგენილი აქვს სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის A და B ვარიანტები.

A ვარიანტის ფარგლებში, უნივერსიტეტი წარმოადგენს სწავლების მეთოდთა ე.წ. კლასიკურ კლასიფიკაციას, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. "ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.

5. *პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.".* [https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2]

ამ ვარიანტში სწავლების სწორედ ის მეთოდებია წარმოდგენილი, რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

B ვარიანტი კი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. დისკუსია/დებატები;
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
4. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
5. ევრისტიკული მეთოდი;
6. შემთხვევის ანალიზი (Case study);
7. გონებრივი იერიში (Brain storming);
8. როლური და სიტუაციური თამაშები;
9. დემონსტრირების მეთოდი;
10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
11. ახსნა–განმარტებითი მეთოდი ;

12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

13. ელექტრონული სწავლება (E-learning).

მართალია, უნივერსიტეტი სწავლების მეთოდთა ორგვარ კლასიფიკაციას გვთავაზოს, ერთს - ს კლასიკურს, ხოლო, მეორეს თანამედროვეს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თითოეული ე. წ. თანამედროვე სწავლების მეთოდის ფესვები, სწავლების კლასიკურ მეთოდებში ვეძიოთ. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. პირველ რიგში, ავიღოთ **ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები.** ამ მეთოდის ნაირსახეობად შეგვიძლია მოვიაზროთ **დისკუსია/დებატები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი (შესაძლოა ეს მეთოდები წერითთ მეთოდსაც მივუსადაგოთ), ახსნა–განმარტებითი მეთოდი** , რადგან ისინი ძირეულად ვერბალურად მიმდინარეობს.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში **შემთხვევის ანალიზი (Case study),** მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და ინოვაციურ სწავლების მეთოდად. თსუ-ს ოფიციალურ ვერგვერდზე იგი შემდეგნაირადაა განმარტებული - *"პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ."* [https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2]. ცხადია, საკითხის განხილვისას აუცილებებლია ვერბალური მეთოდის გამოყენბა, ამ დროს შესაძლოა განვითარდეს დისკუსია, დებატები სტუდენტებსა და პროფესორს შორის, ასვე აუცილებელია კითხვითი მეთოდის გამოყენება იმისთვის რომ სტუდენტები გაეცნონ შემთხვევას, რომელიც უნდა განიხილონ. აგრეთვე, ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ სწავლების მეთოდად ითვლება **ელექტრონული სწავლება** (E-learning), რომელიც თსუ-ს ვებგვერდძე შემდეგნაირადაა განმარტებული - *"ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:*

- *დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.*

- *ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.*
- *მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს."* /https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2].

აქ მოყვანილი განმარტებები, ნათელს ფენს იმ ფაქტს, რომ ინტერნეტ სწავლების სამივე სახე საჭიროებს სულ მცირე ორი ტრადიციული სწავლების მეთოდის გამოყენებას, ესენია ზეპირსიტყვიერი და წერითი მეთოდები.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მაგალითების მოყვანით, არ გვსურს უარვყოთ სწავლების თანამედროვე მეთოდების ინოვაციურობა და არ ვცდილობთ დავუკარგოთ ის დადებითი ნიუანსები რაც ამ მეთოდებს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებმა შესძინა და რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა, თუნდაც ტრადიციული მეთოდებისგან. ნათელია, ინტერნეტით სწავლებისას ვერ უარვყობთ სწავლების ტრადიციული მეთოდების გამოყენებას, მაგრამ თვითონ ინტერნეტის არსებობა და დისტანციური სწავლების ხელშეწყობა ამ მეთოდს უნიკალურს და სხვებისგან გამორჩეულს ხდის.

სწავლების თანამედროვე მეთოდთა დახასიათებისთვის ვიხელმძღვანელებთ თსუ-ს მიერ შემოთავაზებეული მეთოდების B ვარიანტით, რადგან ჩვენ ვიკვლევთ სწორედ თსუ-ს სტუდენტთა კმაყოფილებას. აქ, ჩვენ აღარ დავახასიათებთ იმ მეთოდებს, რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მეთოდთა განმარტებებისთვის გამოვიყენებთ თსუ-სმიერშემოთავაზებულ განმარტებებს.

1. **დისკუსია/დებატები** - *"ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია".*

[https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2]

დისკუსიის მეთოდი განსაკუთრებით უწყობს ხელს სტუდენტთა ჩაქთულობასა და აქტიურობას სასწავლო პროცესში. მეთოდის ნაყოფიერება გამოიხატება იმაში, რომ იგი

სტუდენტებს უნვითარებს ჯანსაღი კამათისა და საკუთარი აზზრის გამოხატვა-არგუმენტაციის უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - *"ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას."*

[https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2]

ჯგუფური მუშაობის დროს, ჯგუფის თითოეული წევრი ნდივიდუალურად ამუშავებს შემოთავაზებულ საკითხს, ხოლო შემდეგ მიღებულ ინფორმაციას უზიარებენ ერთმანეთს. მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების წინასწარი გადანაწილება. ეს მეთოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია იმისთვის, რომ ყველა სტუდენტი ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ამ მეთოდის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ცოდნის შეძენისთვის იგი საწყისად იღებს/სვამს პრობლემას, ხოლო სტუდენტებმა უნდა შეძლონ იპოვონ მოცემული პრობლემის ადაჭრის საუკეთესო გზები.

(https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2)

4. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - ისევე როგორც, ჯგუფური მუშაობა თანამშრომლობითი სწავლებაც ითვალისწინებს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას. მაგრამ, ამ ორ მსგავს მეთოდთა შორის განსხვავებას წარმოადგენს შემდეგი ნიუანსი. თანამშრომლობითი სწავლების პროცესში ჯგუფის თითოეული წევრი ეხმარება სხვა წევრს გაიგოს მოცემული თემა.

(https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2)

5. **ევრისტიკული მეთოდი** - *" ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება."* [https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2].

6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - *"ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას."*

[https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2] ეს მეთოდი განსაკუთრებულად უწყობსხელს საკითხისადმი შემოქმედებითი ხედვის განვითარებას. ამ მეთოდის გამოყენებასასურველია სტუდენტთა მრავალრიცხოვან ჯგუფში. ეს მეთოდი რამდენიმე ეტაპს გადის იმისთვის,რომ საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზა იქნეს ნაპოვნი, ესენია:

- საკითხის შემოქმედებითად განსაზღვრა;
- სტუდენტთა იდეების ჩანიშვნა (დაფაზე);
- გამორიცხვის მეთოდით ყველაზე შესაბამისი იდეებს ამორჩევა;
- საუკეთესო იდეის გამოვლენა, როგორც მოცემული საკითხის/პრობლების გადაჭრის საუკეთესო გზა.

7. **როლური და სიტუაციური თამაშები** - ამ მეთოდის მიხედვით სტუდენტები ირგებენ სხვადასხვა როლს და ამით საკითხის მრავალი მხრიდან შეფასების შესაძლებლობა ჩნდება. მსგავსად დისკუსიისა და დებატებისა ეს მეთოდიც ხელს უწყობს საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და დაცვის შესაძლებლობას, სტუდენტის მიერ.

(https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2)

8. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას კერძო/კონკრეტული ფაკტებიდან ზოგადისაკენ.
- რაც შეეხება სწავლების **დედუქიურ მეთოდს,** განსხვავებით ინდუქციური მეთოდისგან ითვალისწინებს ცოდნის გადაცემის ისეთ გზას, რომელის მიმართულია ზოგადისგან კესძოსაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება გავამარტივოდ რთული სასწავლო მასალა და დავყოთ ნაწილებად. ეს პროცესი ამართივებს რთულად გასაგები მასალის შემეცნებას.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ანალიზის მეთოდის შებრუნებულ მოქმედებას. ანუ, სინთეზის მეთოდის გამოყენების დროს ცალკეული საკითხები

ჯგუფდება და ერთი მთლიანის სახით წარმოჩინდება. ეს ხელს უწყობს საკითხის, როგორც ერთი მთლიანის აღქმას.

(https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2)

9. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - *"მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია."*

[https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/ opaqsnn3gnPvI7/?p=2]

აქვე გვსურს დავამატოთ, რომ სწავლების ზოგი მეთოდი, რომელიც უნივერსიტეტს სწავლების მეთოდების B ვარიანტში აქვს შემოთავაზებული, განვიხილეთ ტრადიციული მეთოდების თავში, ასეთებს წარმოადგენენ, მაგ: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი და ა.შ. რისთვისაც ჩვენ ვიხელმძღვანელეთ დ. ლორთქიფანიძის დიდაქტიკით (1983).

თავი II. სწავლების მეთოდები ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში

იმისთვის, რომ ჩვენი ნაშრომი, უფრო საინტერესო და მრავალმხრივი გამოვიდეს, გადავწყვიდეთ, მაგალითისთვის მოვიტანოთ რამდენიმე ქართული საჯარო და კერძო უნივერსიტეტის მაგალითი და გავიგოთ, თუ სწავლების რომელ მეთოდებს იყენებენ ისინი და რა მსგავსება-განსხვავება არსებობს მათ და თსუ-ს მიერ შემოთავაზებულ სწავლების მეთოდებს შორის.

§ 2. 1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) სწავლა-სწავლების მეთოდთა შემდეგნაირ ჩამონათვალს გვთავაზობს:

- *"ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა;*
- *სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;*
- *საკურსო სამუშაო/პროექტი;*
- *საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი;*
- *ელექტრონული სწავლება;*
- *კონსულტაცია."*

[http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf]

როგორც, ამ ჩამონათვალიდან ჩანს, სტუ-ს მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდები, თითქმის ძირეულად განსხვავდება, თსუ-ს ვებგვერდზე არსებული მეთოდებისგან. მათ შორის, შეგვიძლია მცირე საერთო გამოვავლინოთ, კერძოდ სტუ-ს მიერ სწავლების მეთოდთა ჩამონათვალში არის - " ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა", რაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგივე აქტივობებს გულისხმობს, რასაც თსუ-ს მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი კლასიკური მეთოდი - "ლაბორატორიული

მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი". ამის ფიქრის საშუალებას გვაძლევს მათი განმარტებები ვებგვერდებიდან. თსუ ლაბორატორიულ და დემონსტრირების მეთოდს შემდეგნაირად განმარტავს: *"ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ."* [https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2]. ხოლო, სტუ ლაბორატორიული მეთოდს შემდეგ განმართებას გვთავაზობს *"...გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენებას, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ."*[1] აშკარაა, ჩვენი ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის და მათ შორის ნამდვილად არსებობს მსგავსება.

რაც შეეხება, ელექტრონულ სწავლებას, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი თსუ-ს მიერ სწავლების მეთოდთა B ვარიანტშია, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწავლების თანამედროვე მეთოდთა სიაში ხვდება. ორივე უნივერსიტეტი ამ მეთოდის იდენტურ განმარტებას გვტავაზობს, მაგრამ აქ მათი ციტირება უადგილო იქნება, რამეთუ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.

აგრეთვე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმავე დოკუმენტში სადაც სტუ-ს სწავლების მეთოდები და მათი განმარტებები აქვს განხილული იგი, ასევე, გვთავაზობს **სწავლა-სწავლების მეთოდთა შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალსა და განმარტებებს**. ჩვენთვის ეს ფაქტ,ი იმით არის საინტერესო, რომ ეს ჩამონათვალი ემთხვევა თსუ-ს მიერ შემოთავაზებულ სწავლების მეთოდთა B ვარიანტს, თუმცა იგი, აქ, გამდიდრებული 4 კომპონენტით, მათგან ჩვენთვის ყურადსაღებია ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი და წერითი მუშაობის მეთოდები, რომლებსაც სტუ **სწავლა-სწავლების აქტივობას** უწოდებს და არა მეთოდს, როგორც კლასიკური დიდაქტიკა.

როგორც, ვნახეთ მოცემულ ორ უნივერსიტეტს სწავლების მეთოდთა მხრივ განსხვავება უფრო მეტი აქვს, ვიდრე მსგავსება.

[1] http://gtu.ge/

§2.2 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოხუმის უნივერსიტეტი 1932 წელს 7 თებერვალს, ქალაქ სოხუმში დაარსდა. მას შემდეგ მან დიდი ისტორია განვლო. ჯერ, პოლიტიკური მოვლენების გამო 1989 წელს უნივერსიტეს ქართული სექტორი გამოეყო. 1993 წელის 14 მაისიდან იგი თსუ-ს ფილიალს წარმოადგენდა. 2007 წელს კი საქართველოს მთავრობის დადგელნილებით თსუ-ს სოხუმი ფილიალის ბაზაზე აღმოცენდა სსიპ-სოხუმის უნივერსიტეტი. 2008 წლის დადგენილებით კი - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების მეთოდებზე სასაუბროდ დავეყრდნობით "სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგურირებელ წესს", რომელშიც მესამე თავის მეშვიდე მუხლში საუბარია სწავლების მეთოდებზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სწავლების მეთოდი შემდეგნაირადაა განმარტებული - *" სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა:* ***ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ.,*** *წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს* ***(დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა)."***

(სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს დადგენილება *ცვლილება. აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-291, 13.10.2016*).

§ 2. 3 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

რობაქიძის უნივერსიტეტი, სწავლა-სწავლების მეთოდებით, სხვა უნივერსიტეტებისგან, პირველ რიგში, იმ მხრივ განსხვავდება, რომ იგი გვთავაზობს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდთა ნუსხას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის. გამომდინარე იქედან, რომ კვლევით კომპონენტში ჩვენი პოპულაცია იქნება მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის

სტუდენტები, უმჯობესად მიგვაჩნია, აქ, განვიხილოთ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სწავლა-სწავლების მეთოდები ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურისთვის.

სწავლა-სწავლების მეთოებისთვის, რობაქიძის უნივერსიტეტი შემდეგ ჩამონათვალს გვთავაზობს:

- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ვორქშოფი.

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი მეთოდებიდან მხოლოდ ერთი - პრაქტიკული მუშაობის მეთოდი ემთხვევა თსუ-ს მიერ სწავლა-სწავლების მეთოდთა A ვარიანტში შემოთავაზებულ მეთოდს -პრაქტიკული მეთოდი. რობაქიძის უნივერსიტეტი, იქვე იძლება **პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას.** მათ შორისაა: **ლაბორატორიული მუშაობა, როლური თამაში, ქეისის ანალიზი და ა.შ.** ამათგან, ლაბორატორიული მუშაობა თსუ-ს სწავლა-სწავლების მეთოდთა A ვარიანტში, ხოლო, **როლური თამაში და ქეისის ანალიზი** B ვარიანტში ხვდებიან. თსუ-სგან განსხვავებით ამ მეთოდებს რობაქიძის უნივერსიტეტი **აქტივობებს** უწოდებს.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი. მაგალითისთვის ავიღოთ სემინარი. გზამკვლევში რობაქიძის უნივერსიტეტს, სემინარის პროცესში განსახორციელებელ აქტივობებში ჩამოთვლილი აქვს: დისკუსია, კაზუსზე მუშაობა, სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა, ვიდეო მასალის ჩვენება, ტექსტის კითხვა-ანალი და სხვ. ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ თსუ და რობაქიძის უნივერსიტეტები სხვადასხვა რამეს უწოდებენ მეთოდებს. ის რაც, ძირითადად სწავლების თანამედროვე მეთოდის სახელთან არის დაკავშირებული, რობაქიძის უნივერსიტეტი აქტივობას უწოდებს. ხოლო მეთოდის სახელის ქვეშ, მეტ-ნაკლებად სწავლების ორგანიზაციის ფორმებს მოიაზრებს, როგორიცაა ლექცია-სემინარი. (http://www.gruni.edu.ge/)

თავი 111: უცხო ქვეყნების გამოცდილება სწავლა-სწავლების მეთოდებთან მიმართებაში - უმაღლეს სასწავლებლებში და უცხოურ კვლევებში

§ 3. 1 სტოკჰოლმის უნივერსიტეტი- სწავლა-სწავლების მეთოდები

გარდა ქართული უნივერსიტეტების შედრებისა, საინტერესოდ მივიჩნიეთ მოგვეძია ინფორმაცია საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ვებგვერდებიდან, რათა შეგვედარებინა თსუ-სა და უცხოური უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სწავლა-სწავლების მეთოდები. საზღვარგარეთის ქვეყნები, შევარჩიეთ იმის მიხედვით იყვნენ თუ არა ისინი ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნები, რადგან მეტი საერთო ქონოდათ საქართველოსთან.

პირველი ქვეყანა, რომლის მაგალითსაც განვიხილავთ არის შვედეთი. საზოგადოდ ცნობილია, რომ შვედეთის განათლების სისტემა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოშო. შვედეთში უმაღლესი განათლება, ისევე, როგორც საქართველოში სამ საფეხურს მოიცავს: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. მაგალითისთვის შევარჩიეთ სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, რომელიც შვედეთის დედაქალაქში - სტოკჰოლმში მდებარეობს და იგი წარმოადგენს სახელმწიფო უნივერსიტეტს. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი დაარსდა 1878 წელს და დღეს არის მსოფლიოს 100 საუკეთესო უნივერსიტეტთა შორის. (https://www.su.se/english/about). ამჟამად უნივერსიტეს 33000 სტუდენტი და 6000-მდე თანამშრომელი ყავს. იგი სტუდენტებს სთავაზობს 190 პროგრამას და 1700-მდე სასწავლო კურსს, მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

როგორც, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ვებგვერდზე წერია, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტები უფრო მეტს დამოუკიდებლად სწავლობენ და ნაკლებია სალექციო შეხვედრები. აგრეთვე, ნათქვამია, რომ სწავლების მეთოდები

განსხვავდბა საფეხურისა და სასწავლო კუსრსების მიზნიდან გამომდინარე. თუმცა, აღნიშნულია, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ძირითადად **ლექციისა და სემინარის მეთოდი** გამოიყენება. აგრეთვე გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და ტექნიკები, როგორიცაა **ექსკურსიები, საველე კურსები**. რომლებსაც ასეთი კომენტარი ახლავს - *"...სასიცოცხლო და მნიშვნელოვანია სწავლების სხვა მეთოდებზე".*

[https://www.humangeo.su.se/english/education/study-information/student-and-teacher-exchange/incoming-students-to-stockholm-university/teaching-learning-methods-and-examination]

ასევე, ბევრი სასწავლო კურსი მოიცავს **საველე სამუშაოებს,** რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად ატარებენ დაკვირვებებს, ინტერვიუებს, აკეთებენ სხვადასხვა სფეროს ანალიზს და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ **დისკუსიის** გამართვის საშუალება.

როგოეც ვხედავთ, სტოკჰოლმის უნივერსიტეტისა და თსუ-ს მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენი უნივერსიტეტის პრივილეგიას ამ შემთხვევაში ის წარმოადგენს, რომ იგი არც სწავლების ტრადიციულ მეთოდებს ივიწყებს და არც ახლის მიმღებლობაც აცხადებს უარს. როგორც ვნახეთ, სტოკჰოლმის უნივერსიტეტისთვის, ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების ძირითად მეთოდებს ლექცია და სემინარი წარმოადგენს. ლეაცია და სემინარი კი უფრო სწავლების ორგანიზების ფორმებია, ვიდრე სწავლების მეთოდები. ასევე სწავლების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამხმარე ფორმაა ექსკურსია. მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტების მიერ უნდა განისაზღვროს ძირითადი ტერმინები - სწავლების მეთოდი და სწავლების ორგანიზაციის ფორმები. რადგან, არ შეიძლება ყველაფერს ერთი სახელი ვუწოდოთ რაცკი სწავლების პროცესთან არის დაკავშირებული.

§ 3. 2 მანჩესტერის უნივერსიტეტი – სწავლა–სწავლების მეთოდები

მანჩესტერის უნივერსიტეტი მდებარეობს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. იგი ქალაქ მანჩესტერში 1824 წელს დაარსდა და მსოფლიოს პირველ სამოქალაქო უნივერსიტეტს წარმოადგენდა.

მანჩესტერის უნივერსიტეტი სტუდენტებს სწავლა-სწავლების შემდეგ მეთოდებს სთავაზობს:

- ლექციის მეთოდი;
- სემინარის და/ან კონსულტაციის მეთოდი (tutorial);
- დამოუკიდებელი სწავლის მეთოდი;
- ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდი;
- საველე მუშაობის მეთოდი (Fieldwork or field trip);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (Problem-based learning (PBL) or enquiry-based Learning (EBL);
- პროექტის მეთოდი;
- ინტერნეტ სწავლების მეთოდი;
- კვლევითი სწავლების მეთოდი.

ეს ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ დიდი განსხვავება არ არის სტოკჰოლმის, ან ქართული უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ სწავლების მეთოდებს შორის.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში იმაზე გაცილებით მეტი სწავლების მეთოდი არსებობს ვიდრე ჩვენ გავეცანით ქართული, ან საზღვარგარეთული უნივერსიტეტების მაგალითზე. ცხადია, აქ წარმოდგენილი იყო ყველაზე მეტად ცნობილი და აქტიური მეთოდები, მაგრამ ეს არ არს სწავლების მეთოდთა სრული ჩამონათვალი. სწალების თითოეული მეთოდი გარკვეული მცირე დეტალით მაინც განსხვავდება სხვა მეთოდისგან, რაც მას უნიკალურს და სარგებლიანს ხდის შემეცნებისთვის. რასაკვირველია უნივერსიტეტებმა უნდა დანერგონ წსავლებისახალი მეთოდები, რამეთუ დროის სვლასთან ერთად მუდმივად იცვლება აღზრდისა და სწავლების მიზნები, შესაბამისად ცვალებადობს ამ მიზნებამდე მისასვლელი გზები და

საშუალბები. უნდა ვეცადოთ ოქროს შუალედის პოვნა და არ უარვყოთ ტრადიციული მეთოდები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისთვის და ამავდროულად მივიღოთ სწავლების მოდერნიზებული მეთოდები, რათა შევძლოთ და ფეხი ავუწყოთ თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

§ 3.3. კვლევა – "სწავლების მეთოდების გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებაზე"

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სწავლების მეთოდების გავლენის განსაზღვრვა სტუდენტთა კმაყოფილებაზე. კვლევის პოპულაციას წარმოადგენდა ლაჰორის ბიზნეს ადმინისტრირების უნივერსიტეტის სტუდენტები. შერჩევის ჩარჩოს - ყველა დისციპლინის, ყველა სტუდენტი, რომლებიც სწავლობენ ამ უნივერსიტეტში. კვლევისას გამოიყენეს ალბათური შერჩევა. მრავალეტაპიანი კლასტერული შერჩევის ტექნიკა იქნა გამოყენებული იმისთვის, რომ კლასტერებად დაყოფილიყო დისციპლინები. შემდეგ კი კლასტერებიდან ალბათობით შეარჩა რესპოდენტები. სულ სამი ჯგუფი გამოიკვეთა კურსდამთავრებულები და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრანტები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ აღმასრულებლობის მიმართულებით (Pgd and MBA executive), ბიზნეს ადმინისტრირების ბაკავარები (BBA) და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრანტები (MBA). თითოეული ჯფიდან გამოიკითხა ათი რესპოდენტი.

კვლევისთვის გამოიყენეს სტრუქტურირებული კითხვარი, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის SPSS-ის პროგრამა. სწავლების მეთოდები მოიცავდა შემდეგს: დისკუსიები კლასში, აქტივობები კლასში და კლასგარეთ (მაგ: საგანმანათლებლო კვლევები, საგანმანათლებლო ტურები), მულტიმედის გამოყენება (იგულისხმება თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, ვიდეო მასალის, სლაიდ შოუს გამოყენება), შემთხვევის ანალიზი.

კვლევისას ჩამოყალიბდა რამდენიმე ჰიპოთეზა, აქ წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ჰიპოთეზას, რომელიც ჩვენს საკლვლევ საკითხთან ყველაზე ახლოს დგას.

"*H0: There is no difference in BBA, MBA and Pgd and MBA executive students' opinion regarding the conceptual teaching method effectiveness.*

1. H1: There is a different in the BBA, MBA and Pgd and MBA executive students' opinion regarding the conceptual teaching method effectiveness"

[https://www.ukessays.com/essays/education/impact-of-various-teaching-methods-on-student-satisfaction-education-essay.php?vref=1]

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მოცემულ ჯგუფებს შორის სწავლების მეთოდეით კმაყოფილებით. სწორედ ამ მონაცემს დავეყრდენით ერთ-ერთი ჰიპოთეზის შემუშავებისას, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

§ 3.4. კვლევა – "ეფექტური სწავლების მეთოდები უმაღლესი განათლების დონეზე "

მოცემული კვლევა ჩატარდა პაკისტანში, კარაჩის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის დოქტორ შაჰიდა საჟჯადის მიერ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა განესაზღვრა სწავლების სხვადასხვა მეთოდის ეფექტურობა. კვლევის ფარგლებში, კარაჩის უნივერსიტეტის, ხელოვნების ფაკულტეტის 11 დეპარტამენტის (სპეციალური განათლება, ფსიქოლოგია, სოციალური მიშაობა, სოციოლოგია, მასობრივი კომუნიკაცია და ა.შ.) 220 დამამთავრებელი კურსის (თითოეული დეპარტამენტიდან 20) სტუდენტი გამოიკითხა. მათ უნდა შეეფასებინათ თუ სწავლების რომელი მეთოდი იყო ყველაზე ეფექტური და რატომ.

სტუდენტებს 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა /ყველაზე უნმიშვნელოს/, ხოლო 5 /ყველაზე მნიშვნელოვანს/ უნდა შეეფასებინათ სწავლების მეთოდები.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა:

- აღმოეჩინათ სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რომლებსაც იყენებდნენ ლექტორები ხელოვნების ფაკულტეტის სხვასასხვა დეპარტამენტებში, რომ ესწავლებინათ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის;

- გამოევლინათ სტუდენტთა აზრი სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, თუ რომელ მეთოდს თვლიან ისინი ყველაზე საინტერესო დასაუკეთესო მეთოდად;
- ეკვლიათ, თუ რატომ აღიქვამენ კონკრეტულ სწავლების მეთოდს, როგორც საინტერესო და საუკეთესო მეთოდს და სხვ. (Sajjad)

სწავლების მეთოდები რომლებიც უნდა შეეფასებინათ: ლექცია, ჯგუფური განხილვა, ინდივიდუალური პრეზენტაცია, დავალებები, სემინაი, ვორქშოპი, კონფერენცია, გონებრივი იერიში, როლური თამაშები და შემთხვევის ანალიზი.

მიგნებები:

- სტუდენტების უმრავლესობამ სწავლების საუკეთესო მეთოდად ლექცია დაასახელა. მიზეზად კი შემდეგიი დაასახელეს: მასწავლებელი უზრუნველყოფს თემასთან დაკავშირებულ ყველა ცოდნის მიწოდებას; სტუდენტები ყურადღებით უსმენენ ლექციას და შენიშვნებს იწერენ; ამ მეთოდის გადარჩენის დროა და სხვ.
- ჯგუფური განხილვის მეთოდი იყო რიგით მეორე ადგილზე სწავლების საუკეთესო მეთოდთა შორის. მიზეზად კი ასახელებდნენ შემდეგს: ეს მეთოდი იწვევს სტუდენტთა მეტ ჩართულობას; სწავლება უფრო ეფექტურია; ეს მეთოდი ანვითარებს კრეატიულობას სტუდენტთა შორის და ა.შ. (Sajjad)

კვლევითი ნაწილი

(კვლევის ზოგადი აღწერა)

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, რომლის საშუალებითაც გამოვიკითხეთ თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები. კვლევის პოპულაციას წარმოადგენს თსუ-ს ბკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის 250 (შვიდევე ფაკულტეტის: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტები), სტუდენტი. თუმცა, მონაცემების შეგროვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზემოთხსენებული შვიდი ფაკულტეტიდან, სამმა (მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტები) პასიურობა გამოავლინდა და მათგან შედარებით მცირე რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა, ამ მიზეზის გამო, კველევის შედეგად მიღებული მონაცემები მათზე არ განზოგადდება. მაგრამ, ცხადია ამ ფაკულტეტებიდან მიღებული პასუხები დამუშავდა აღწერითი სტატისტიკის პროცესში. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ არამიზნობრივი შერჩევა. რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა კითხვარი რომელიც იყო **ნახევრადსტრუქტურირებული.** კითხვარი აეწყო "გუგლში" (იხ. დანართი 1). რესპოდენტების გამოსაკითხად გამოვიყენეთ სოციალური ქსელი "facebook"-ი.

მიღებული მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ SPSS (Statistical Package for the Social Sciences) პროგრამა. ხოლო ღია კითხვებზე მიღებული პასუხები დაკოდირდა.

შემუშავდა შემდეგი სამუშაო ჰიპოთეზები:

H_0 ჰიპოთეზა: თსუ-ს სტუდენტებს აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ.

H_1 ჰიპოთეზა: თსუ-ს სტუდენტებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ.

შემდეგი ჰიპოთეზის შემუშავებისას დავეყრდენით უცხოურ ვკლევას - "სწავლების მეთოდების გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებაზე."

H_0 ჰიპოთეზა: მოსალოდნელია, რომ იურიდიულ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ.

H_1 ჰიპოთეზა: მოსალოდნელია, რომ იურიდიულ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებს სტუდენტებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ..

H_0 ჰიპოთეზა: თსუ-ს სტუდენტებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ. არ გამართლდა, ანუ მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ თსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები სწავლების მეთოდებით არც უკმაყოფილონი არიან და არც კმაყოფილი (გამოკითხულთა უმრავლესობა), რაც ნიშნავს იმას რომ H_1 ჰიპოთეზია გამართლდა. ანუ, თსუ-ს სტუდენტებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია სწავლების მეთოდებით კმაყოფილების შესახებ. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს შმდეგი დიაგრამა.

დიაგრამა 1.



როგორც ეც დიაგრამა ცხადყოფს პასუხი “არც კმაყოფილი ვარ, არც უკმაყოფილო” დაასახელა გამოკითხული სტუდენტების დაახლოებით 42%-მა. ანუ, კვლევის შედეგად შუალედური შედეგი გამოვლინდა.

H_0 ჰიპოთეზა: მოსალოდნელია, რომ იურიდიულ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ. - შესამოწმებლად ჩატარდა “one way ANOVA”-ს ტესტი. ტესტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ორი ცვლადი, პირველი ცვლადი იყო “ფაკულტეტი” რომელიც წარმოადგენდა **დამოუკიდებელ ცვლადს**, ხოლო მეორე ცვლადს “სტუდენტთა საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით”, **რომელიც წარმოადგენდა დამოკიდებულ ცვლადს.** მართალია კვლევაში მონაწილეობა შვიდივე ფაკულტეტის სტუდენტება მიიღეს, მაგრამ აღნიშნული ტესტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ მხოლოდ 4 (ჰუმანიტარული, იურიდიული, სოციალურ და პოლიტიკური და ეკონომიკისა და ბიზნესის) ფაკულტეტის სტუდენტთა პასუხები, გამომდინარე იქედან, რომ მოცემული 4 ფაკულტეტიდან მინიმუმ 30 სტუდენტმა დააფიქსირა პასუხი კითხვაზე - “შეაფასეთ თქვენი საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით”. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თითოეული ჯგუფისთვის მინიმუმ 30 ადამიანი იმისთვის იყო საჭირო, რომ სტატისტიკური ტესტი ჩატარება შესაძლებელი ყოფილიყო.

“one way ANOVA”-ს ტესტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მოცელულ ოთხ ჯგუფს შორის არ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.

$F(2, 203)=2.10$ $p<0.05$

თუმცა, “Post hoc test”-ის ანალიზისას “Tukey (HSD)”-ს ტესტმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მხოლოდ ორ ჯგუფს - ჰუმანიტარულსა ($M=3$, $SE=0.10$) და ეკონომიკისა და ბიზნესის ($M=2,45$ $SE=0.16$) ფაულტეტებს შორის. $p<0.05$ რაც ნიშნავს იმას, რომ H_1 ჰიპოთეზა ოთხიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში გამართლდა.

აგრეთვე, “one way ANOVA”-ს ტესტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კიდევ ერთი საინტერესო შედეგი. იურიდიული ($M=2.85$ $SE=1.30$) და სოციალურ და პოლიტიკურ ($M=2.85$ $SE=1.80$) მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალო

ქლები ერთმანეთს დაემთხვა. p>0.05 ანუ, მოცემულ ორ ჯგუფს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.

ახლა კი გადავიდეთ მონაცემთა რადენობრივ ანალიზზე, სადაც დეტალურად განვიხილავთ თითოეულ კითხვას.

1. სქესი. გამოკითხული სტუდენტებიდან სქესობრივი თანაფარდობა შემდეგნაირად გადანაწილდა, 89% რესპოდენტებისა წარმოადგენდა მდედრობით სქესს, ხოლო 11% - მამრობითს. მოდას წარმოადგენდა პასუხი - მდედრობითი (მოდა = 1). ანუ, ეს პასუხი ყველაზე მეტმა სტუდენტმა დააფიქსირა.

დიაგრამა 2.



2. შემდეგი კითხვა იყო - "რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?" რომელზეც პასუხი 245 სტუდენტმა გასცა და მონაცემები დიაგრამაზეა წარმოჩენილი.

დიაგრამა 3.



3. მომდევნო კითხვა იყო - "რომელი სემესტრის სტუდენტი ხართ? (თუ ხართ I-IV სემესტრის სტუდენტი, გთხოვთ შეწყვიტოთ კითხვარის შევსება)." თუმცა სტუდენტებმა არ გაითვალისწინეს რომ ეს იკო კითხვა-ფილტრი და გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის საფეხურის ყველა სემესტრის სტუდენტმა, მათ შორის დამატებითი სემესტრის სტუდენტებმა (მხოლოდ ორმა). ამ კითხვას პასუხი გამოკითხულ სტუდენტთა 91%-მა გასცა. მოდას წარმოადგენდა მეექვსე სემესტრი, რადგან გამოკითხულ სტუდენტთაგან ყველაზე მეტმა (78) დააფიქსირა, რომ იყო მეექვსე სემესტრის სტუდენტი.

დიაგრამა 4.



4. მომდევნო კითხვას - რომელ პროფესიაზე სწავლობთ? პასუხი გასცა 222-მა სტუდენტმა, ხოლო გამოტოვა 28-მ.

დიაგრამა 5.



5. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/"

5.1. მონოლოგის მეთოდი. 87%-მა გასცა პასუხი, 13-მა არა.

დიაგრამა 6.

.



5.2. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/" - დიალოგის მეთოდი.

მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 216-მა რესპოდენტმა, ხოლო 34-მა არა. მოდას წარმოადგენდა პასუხი "არც იშვიათად, არც ხშირად," რომელიც 67-მა რესპოდენტმა დააფიქსირა.

დიაგრამა 7.



5.3. “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - წიგნზე მუშაობის მეთოდი

მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 203-მა რესპოდენტმა, ხოლო პასუხი არ გასცა 47-მა. მოდას წარმოადგენდა პასუხი - “არასდროს.”

დიაგრამა 8.



5.4 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - წერითი მუშაობის მეთოდი.

ამ კითხვას პასუხი გასცა 207-მა სტუდენტმა, არ გასცა 43-მა. მოდას წარმოადგენდა პასუხი “იშვიათად,” რომელიც 66-მა სტუდენტმა დააფიქსირა.

დიაგრამა 9.



5.5 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - ლაბორატორიული მეთოდი.

მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 192 სტუდენტმა, 52-მა კი - არა. პასუხი “არასდროს” 155 სტუდენტმა დააფიქსირა, რომელიც წარმოადგენს მოდას.

დიაგრამა 10.



5.6 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - პრაქტიკული სავარჯიშოები /საველე სამუშაო, პრაქტიკა, სავარჯიშოები/.

ამ კითხვაზე პასუხი 194-მა სტუდენტმა დააფიქსირა, ხოლო პასუხი არ გასცა 56-მა. მოდას წარმოადგენდა პასუხი - “არასდროს” რომელიც გამოკითხულთა 30%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 11.



5.7 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება /სტუდენტის მიერ პრობლემის გადაჭრა/ .

მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 194-მა რესპოდენტმა, არ გასცა 56-მა. . მოდა “არასდროს” გამოკითხულთა 34- %-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 12.



5.8 "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/" - შემთხვევის ანალიზი-case study /პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი/.

პასუხი გასცა 196-მა სტუდენტმა, ხოლო არ გასცა 54-მა. მოდა - "არასდროს" გამოკითხულთა 27%-მა დაფიქსირა.

დიაგრამა 13.



5.9. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5

ყოველთვის/” - როლური და სიტუაციური თამაშები. პასუხი გასცა 75%-მა, არ გასცა 25%-მა. მოდა “არასდროს” დაფიქსირდა, რომელიც 46%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 14.



5.10. “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - ელექტრონული სწავლება/ვიდეო ლექცია, ლექცია სკაიპით/

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გასცა 77%-მა, არ გასცა23%-მა. მოდა “არასდროს” 54%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 15.



5.11. “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - დისტანციური სწავლება.

ამ კითხვას გამოკითხულთა 75%-მა გასცა პასუხი, 25%-მა კი არ გასცა. მოდა - “არასდროს” 61%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 16.



5.12. “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/” - სხვა?

ეს კითხვა წარმოადგენდა ღია კითხვას, სადაც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ სხვა სწავლების მეთოდი, რომელსაც მათი ლექტორები იყენებდნენ. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთმა სტუდენტმა დააფიქსირა. პასუხი - ნახევრად ელექტრონული სწავლება.

6. “შეაფასეთ თქვენი საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით, სადაც 1 ნიშნავს “საერთოდ არ ვარ კმაყოფილი, ხოლო 5 ძალიან კმაყოფილი ვარ.”

მოცემულ კითხვას პასუხი გამოკითხული სტუდენტების 98%-მა გასცცა, ხოლო არ გასცა 2%-მა. მოდას წარმოადგენდა პასუხი “არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილი”, რომელიც გამოკითხულთა 42%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 17.



ჩავატარეთ **კროსტაბულაციის ტესტი**, რომლისთვისაც გამოვიყენეთ პირველი ცვლადი "სქესი", და მეექვსე ცვლადი "შეაფასეთ თქვენი საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით".

კროსტაბულაციის ტესტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი შედეგები. გამოკითხულთა 91%-ს წარმოადგენდა მდედრობითი სქესი, ხოლო მამრობითს 9%. მდედრობითი სქესის 10%-მა დააფიქსირა პასუხი "საერთოდ არ ვარ კმაყოფილი", 20%-მა "არ ვარ კმაყოფილი", 50%-მა "არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი", 23% "კმაყოფილი ვარ", ხოლო 3%-მა "ძალიან კმაყოფილი ვარ". რაც შეეხება მამრობით სქესს, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება. მამრობითი სქესი წარმოადგენელთა 17%-მა დააფიქსირა პასუხი "საერთოდ არ ვარ კმაყოფილი", 30%-მა "არ ვარ კმაყოფილი", 37%-მა "არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი", 20%-მა "კმაყოფილი ვარ", ხოლო 2%-მა "ძალიან კმაყოფილი ვარ".

კორელაციის ტესტი. იმის გასაგებად არსებობს თუ არა კავშირი სემესტრის მზარდობასა და სტუდენტთა კმაყოფილებას (ტესტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ რიგის სკალის ორი ცვლადი, პირველი - "3. რომელი სემესტრის სტუდენტი ხართ?" და მეორე - "6. შეაფასეთ თქვენი საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით, სადაც 1 ნიშნავს საერთოდ არ ვარ კმაყოფილი, ხოლო 5 ძალიან კმაყოფილი ვარ.") შორის

ჩატარდა სპირმენის კორელაციის ტესტი. ტესტის შედეგად მოცემულ ორ ცვლადს შორის არ გამოვლინდა კორელაცია. (იხ.დანართი 3)

6.1 ბოლო კითხვაზე "რატომ?" პასუხი სტუდენტთა მცირე ჯგუფმა დააფიქსირა. აქ სტუდენტებს უნდა დაეწერათ თუ რატომ იყვნენ კმაყოფილნი, ან უკმაყოფილონი თსუ-ში გამოყენებული სწავლების მეთოდებით.

სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ თსუ-ში ძირითადად სწავლების "ძველ" მეთოდებს იყენებენ, ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე ციტირებას პასუხებიდან:

1. "ძირითადად ისევ ძველ მეთოდებს იყენებენ";
2. "ლექტორები უმეტესად ტრადიციულ მეთოდებს იყენებენ";
3. "იშვიათად იყენებენ თანამედროვე მეთოდებს."
4. "ლექტორები იყენებენ გამოკითხვის ძველებურ მეთოდებს."

ასევე, სტუდენტებმა ამ კითხვის საშუალებით თავიანთი უკმაყოფილება გამოხატეს, როგორც გამოკითხვის ("რელურად ვაწყდებით პრობლემას სწავლების მეთოდებში. ძალიან ხშირია "გამოდი მოყევის" მეთოდის გამოყენება", რაც ზედმეტადმოძველებულია და ოპ ნაკლებად ავითარებს აზროვნებას:);" "აქ მითითებული უნდა იყოს სკოლის მეთობი რომ არის შემორჩენილი და დაფასთან ან ხელის აწევით რომ ვყვებით პიონერრბივით სემინარს :დ"), ასევე შეფასების მეთოდებზე ("არსებობენ ლექტორები რომლებიც ბავშვებს ისეთი სავარჯიშოების გაკეთებით ანიჭებენ ქულას როგორიც საერთოდ არ გაურჩევიათ, რაც ვთვლი რომ არასამართლიანია და არანაირი სწავლების მეთოდს არ შეესაბამება").

ღია კითხვის საშუალებით არცერთ სტუდენტს არ გამოუხატავს თავისი კმაყოფილება, ან დადებითი პოზიცია თსუ-ში გამოყენებულ სწავლების მეთოდენთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც ვნახეთ არსებობენ უკმაყოფილო სტუდენტები, რომლებიც ამბობენ, რომ თსუ-ში სწავლების "ტრადიციული" მეთოდები და გამოკითხვის ფორმები დღესაც ფართოდ გამოიყენება. თუმცა, ეს პასუხები არ გამოხატას სტუდენტთა საერთო მასის დამოკიდებულებას სწავლების მეთოდებთან მიმართებაში.

გამომდინარე იქედან, რომ ღია კითხვის საშუალებით ძალიან ცოტა სტუდენტმა დააფიქსირა თავისი აზრი, ვვარაუდობთ, რომ სტუნდეტები გულგრილნი არიან ამ

საკითხთან დაკავშირებით, ან ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან სწავლებისმეთოდებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ არ ისურვეს პასუხის გაცემა.

კროსტაბულაციის ტესტი. მონაცემთა ანალიზისთვის, აგრეთვე, ჩავატარეთ კროსტაბულაციის ტესტი, იმის დასადგენად თუ რომელი ფაკულტეტიდან, გამოკითხული სტუდენტების რამდენმა პროცენტმა რომელი პასუხი დააფიქსირა მე-5 კითხვაზე - "5. გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს, 5 ყოველთვის/ ." შესაბამისად ტესტის ფარგლებში გამოვიყენეთ ორი ცვლადი, პირველი ცვლადი უკვე მოვიხსენიეთ, ხოლო მეორე ცვლადს წარმოადგენს მე-2 კითხვა " რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?"

პირველი შემთხვევისთვის განვიხილოთ "5.1. გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - მონოლოგის მეთოდი." მოცელუმ კითხვაზე ოთხი ფაკულტეტიდან (ჰუმანიტარული, იურიდიული, სოც. პოლი და ეკონომიკისა და ბიზნესის), პასუხი 75%-მა რესპოდენტმა დააფიქსირა. მონაცემების უკეთ ილუსტრაციისთვის გამოვიყენებთ დიაგრამას.

დიაგრამა 18.



შემდეგი შემთხვევისთვი განვიხილოთ სხვა მეთოდი "5.2. გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები

ყველაზე ხშირად - დიალოგის მეთოდი.” მოცემულ კიტხვას გამოკითხული სტუდენტების 73%-მა გასცა პასუხი.

დიაგრამა 19.



5.3. გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - წიგნზე მუშაობის მეთოდი.” მოცემულ კითხვას 4 ფაკულტეტიდან პასუხი გასცა სტუდენტთა 69%-მა.

დიაგრამა 20.



5.4. გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - წერითი მუშაობის მეთოდი /რეფერატი, ესე/.” მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 70%-მა.

დიაგრამა 21.



5.5. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - ლაბორატორიული მეთოდი." ამ კითხვას პასუხი გასცა 64%-მა. იურიდიული ფაკულტეტიდან პასუხები: "არასდროს" და "არც იშვიათად, არც ხშირად" არცერთ სტუდენტს არ დაუფიქსირები, ხოლო სოციალურ და პოლიტიკური და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან არცერ სტუდენტს არ დაუფიქსირებია პასუხები: "არც იშვიათად, არც ხშირად", "არც იშვიათად, არც ხშირად."

დიაგრამა 22.



5.6 "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - პრაქტიკული სავარჯიშოები /საველე სამუშაო, პრაქტიკა, სავარჯიშოები/." მოცემულ კითხვას პასუხი 65%-მა გასცა.

დიაგრამა 23.



5.7 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება /სტუდენტის მიერ პრობლემის გადაჭრა/.” პასუხი გასცა 66%-მა.

დიაგრამა 24.



5.8 “გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - შემთხვევის ანალიზი-case study /პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი/.” გამოკითხული სტუდენტების 67%-მა გასცა პასუხი.

დიაგრამა 25.



5.9. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - როლური და სიტუაციური თამაშები." პასუხი 64%-მა დააფიქსირა. მოცემულ კითხვაზე იურიდიული ფაკულტეტის არცერთ სტუდენტს არ დაუფიქსირებია პასუხი "ყოველთვის," ხოლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან პასუხი - "ხშირად."

დიაგრამა 26.



5.10. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - ელექტრონული სწავლება". პასუხი 65%-მა დააფიქსირა. აღნიშნულ კითხვაზე იურიდიული ფაკულტეტიდან არ დაფიქსირდა პასუხები: "ხშირად" და "ყოველთცის." აგრეთვე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან არ დაფიქსირდა პასუხი - "ხშირად." ხოლო, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან პასუხი - "არც იშვიათად, არც ხშირად."

დიაგრამა 27.



5.11. "გთხოვთ, მიუთითოთ, ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად - დისტანციური სწავლება." ამ კითხვაზე პასუხი დააფიქსირა 63%-მა. პასუხი "ხშირად" არ დაფიქსირებულა იურიდიული და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ. ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტების მიერ არ დაფიქსირდა პასუხი - "არც იშვიათად, არც ხშირად."

დიაგრამა 28.



დასკვნები

- თეორიული კველევის შედეგად წარმოჩინდა სწავლების კლასიკური მეთოდების აქტუალობა, სწორედ ისინი წარმოადგენენ სწავლების ძირითად მეთოდებს.
- რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სწავლების მეთოდებით თსუ-ს ბაკალავრიათის საგანამანათლებლო საფეხურის, სტუდენტთა უმრავლესობა არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო, ანუ სტუდენტებს არ გააჩნით მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება სწავლების მეთოდებთან მიმართებაში.
- ასევე, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები უფრო კმაყოფილნი არიან სწავლების მეთოდებით, ვიდრე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები (ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია).
- "One way ANOVA"-ს ტესტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ იურიდიული (M=2.85 SE=1.30) და სოციალურ და პოლიტიკურ (M=2.85 SE=1.80) მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალო ქლები ერთმანეთს დაემთხვა. $p>0.05$ ანუ, მოცემულ ორ ჯგუფს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ.
- კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თშუ-ში გამოიყენება სწავლების "ძველი/ტრადიციული" (როგორც ამას სტუდენტები უწოდებენ), რაც იწვევს სტუდენტთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას.
- აგრეთვე, კვლევის შედეგად გამოვლინდა გვერდითი შედეგი გამოკითხვის მეთოდებთან დაკავშირებით. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ რიგი ლექტორებისა იყენებენ ე.წ. "ხელის აწევისა" და "დაფასთან გამოსვლის" მეთოდს, რაც სტუდენტებს დიდ დისკომფორტს უქმნის სასწავლო პროცესში.
- კორელაციის ტესტის ანალიზმა აჩვენა რომ სემესტრი არ განსაზღვრავს სტუდენტის კმაყოფილებას სწავლების მეთოდების მხრივ.

რეკომენდაციები

- პირველ რიგში, გვსურს აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურება და ამდენად სტუდენტი ყავდეს კმაყოფილი (არამხოლოდ სწავლების მეთოდებით, არამედ სტუდენტური ცხოვრების ყველა ასპექტით: მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინფრასტრუქტურით, ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობით, აკადემიურ და ადმინისტრაციულ კადრთან ურთიერთობით, პროექტებში ჩართვით და ა.შ.) ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სასურველია უნივერსიტეტმა, პირველ რიგში უზრუნველყოს სტუდენტთა კმაყოფილების დონის გაზრდა, სწავლების მეთოდებით, რამეთუ 6-ე კითხვაზე პასუხი - "კმაყოფილი ვარ" /გამოკითხულ სტუდენტთა 22%-მა დააფიქსირა,/ ხოლო, "ძალიან კმაყოფილი ვარ" /დააფიქსირა გამოკითხულთა მხოლოდ 2%-მა/, რაც, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ხოლო სტუდენტთა უმრავლესობას (გამოკითხულთა 42%-ს) არ აქვს მკეთრად გამოხატული დამოკიდებულება სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.
- აგრეთვე, სასურველია ყველა ფაკულტეტის სტუდენტი იყოს თანაბარ პირობებში და სწავლების მეთოდებით კმაყოფილების მხრივ არ გამოვლინდეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება.
- უმჯობესი იქნება, მოხდეს სწავლების კლასიკური და თანამედროვე მეთოდების (აქ იგულისხმება სწავლების ტექნოლოგიები და სწავლების ხერხები) გამოყენება სასწავლო პროცესში, სწავლების მიზნიდან გამომდინარე.
- აუცილებელია თსუ პროფესორ - მასწავლებელთა ინფორმირება /გადამზადება სწავლების სწავლების მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების და ცოდნის შემოწმებისა და შეფასების თვალსაზრისით თანამედროვე ვითარების შესაბამისად.
- აგრეთვე, უმჯობესი იქნება სტუდენტის ცოდნის შემოწმებისას ლექტორმა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები და არ მიმართონ "დაფასთან" გამოძახებას (ცხადია, სასწვლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე) და ა.შ.

- სასურველია უნივერსიტეტმა ჩაატაროს კვლევა სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ, რომელიც დაფარავს ყველა საგანმანათლებლო საფეხურსა და სტუდენტის ცხოვრების ყველა ასპექტს, რის შედეგადაც გამოვლინდება სტუდენტის კმაყოფილების საერთო დონე, საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში. ამის შემდეგ კი, უნივერსიტეტმა უნდა ეცადოს იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი. /რედ./ (1983) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.6 , თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია. გვ 548-549.

2. ასათიანი. ა. (2008) უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბილისი: "ტექნიკური უნივერსიტეტი."

3. ბერძენიშვილი თ., საძაგლიშვილი შ., წერეთელი მ., გაბუნია კ., გახელაძე გ., გიუნაშვილი ზ.,...დალაქიშვილი ნ. განმარტებითი ლექსიკონი, 1 ნაწილი, (2007) განათლების სპეციალისტებისთვის. თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გვ. 60.

4. ვასაძე. ნ., /რედ/ (1988) პედაგოგიკის ისტორია, თბილისი: "განათლება."

5. კაჭარავა ლ. /რედ/ "უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში" (2008) (Tuning project), თბილისი. გვ. 69.

6. ლორთქიფანიძე, დ. დიდაქტიკა, (1983), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 197, 198

7. ქაჯია, ვ., სიხარულიძე, გ., სიგუა, ს., ლორთქიფანიძე, დ., სარიშვილი, ტ. (1974). ქართული პედაგოგიკის ისტორია. თბილისი: განათლება, გვ: 5, 10, 44, 82-83, 102, 246.

8. ჭკუასელი ქ. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს სკოლაში, გორის უნივერსიტეტი, მეორე საერთაშორისო კონფერენცია - ახალი მიმართულებები განათლების კვლევაში, 2-3 ოქტომბერი., 2009 წელი, გორი. გვ. 284.

9. ჭკუასელი ქ., დილიძე თ. (2015) სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში. თბილისი: *GESJ: Education Science and Psychology 2016,* | No.1(38), 278-286/

10. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ივ. (2012) პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, გვ.12, 16, 17, 18,21, 23, 37, 64, 255.12.

11. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს დადგენილება *ცვლილება. აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-291, 13.10.2016*)

12. Essays, UK. (November 2018). Impact Of Teaching Methods On Student Satisfaction. Retrievedfrom

https://www.ukessays.com/essays/education/impact-of-various-teaching-methods-on-student-s-atisfaction-education-essay.php?vref=1

13. Sajjad, S. Effective teaching methods at higher education level. Pakistan. http://class.web.nthu.edu.tw/ezfiles/669/1669/img/1381/1.Effectiveteachingmethodsathigheredu cationlevel.pdf

14. ბოლონიის დეკლარაცია 1999 წ. https://eqe.ge/res/docs/Boloniisdeklaracia1999.pdf

15. განათლების ხარისხის გავნვითარების ეროვნული ცენტრის ვერგვერდი: https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process

16. გრიგოლ რობაქიძისუნივერსიტეტის ვებგვერდი: http://www.gruni.edu.ge/

17. თსუ-ს ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/government/qaa/news/__opaqsnn3gnPvI7/?p=2

18. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://gtu.ge/

19. სოხუმის საელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://old.sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6

20. სობრონის დეკლარაცია 1998 წ. https://eqe.ge/res/docs/Sorbonisdeklaracia1998.pdf

21. Manchester University website: https://www.manchester.ac.uk/study/undergraduate/teaching-learning/methods-materials/

22. Stockholm University website: https://www.su.se/english/about

23. Stockholm University website: https://www.humangeo.su.se/english/education/study-information/student-and-teacher-exchan ge/incoming-students-to-stockholm-university/teaching-learning-methods-and-examination

24. http://tikosi-doctorat.blogspot.com/2015/01/blog-post_24.html

25. https://www.universalclass.com/articles/special-education/developing-educational-case-stu dies.htm

26. https://physicscatalyst.com/graduation/brainstorming/

27. https://citl.illinois.edu/citl-101/teaching-learning/resources/teaching-strategies/problem-based-learning-(pbl)

28. http://www.vkmaheshwari.com/WP/?p=385

Section 1 of 4

კითხვარი-თსუ-ში გამოყენებული სწავლების მეთოდებით სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ

გთხოვთ გულდასმით გაეცნოთ კითხვარს და დააფიქსიროთ თქვენთვის მისაღები პასუხი. თქვენ მიერ შევსებული კითხვარი დამეხმარება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.
წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!
თქვენი ანონიმურობა დაცულია!

1. სქესი?

- 1. მდედრობითი
- 2. მამრობითი

Section 2 of 4

I

Description (optional)

2. რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?

Short answer text

3. რომელი სემესტრის სტუდენტი ხართ? (თუ ხართ I-IV სემესტრის სტუდენტი, გთხოვთ შეწყვიტოთ კითხვარის შევსება)

Short answer text

4. რომელ პროფესიაზე სწავლობთ?

Short answer text

Section 3 of 4

Description (optional)

5. გთხოვთ. მიუთითოთ. ქვემოთ მოცემული სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებენ თქვენი ლექტორები ყველაზე ხშირად? / 1 ნიშნავს არასდროს. 5 ყოველთვის/

Multiple choice grid

Rows	Columns
1. 5.1. ბიბლიოგრაფიის მეთოდი	1
2. 5.3. ეროვნულ მეცნიერების მეთოდი	2
3. 5.4. ჩვეულებრივ მეცნიერების მეთოდი /რეფერატ...	3
4. 5.5 დისკუსიურ-ინტერაქტიული მეთოდი	4
5. 5.6 პრაქტიკული სავარჯიშოები /საველე ...	5
6. 5.7 პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება...	Add column
7. 5.8 შემთხვევის ანალიზი case study /პრაქ...	
8. 5.9. როლური და სიმულაციური თამაშები	
9. ელექტრონული სწავლება/ვიდეო ლექციები/...	
10. 5.11. დისტანციური სწავლება	
11. Add row	

Require a response in each row

5.12 სხვა

Short answer text

Section 4 of 4

Ա

Description (optional)

6.შეაფასეთ თქვენი საერთო კმაყოფილება სწავლების მეთოდებით, სადაც 1 ნიშნავს საერთოდ არ ვარ კმაყოფილი, ხოლო 5 ძალიან კმაყოფილი ვარ.

1	2	3	4	5
○	○	○	○	○

Ֆ რატომ?

Short answer text

Multiple Comparisons

Dependent Variable: საერთო კმაყოფილება

	(I) ფაკულტეტი	(J) ფაკულტეტი	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.	95% Confidence Interval Lower Bound	95% Confidence Interval Upper Bound
Tukey HSD	იურიდიული	ჰუმანიტარული	-.169	.162	.725	-.59	.25
		სოციალურ და პოლიტიკურ	.000	.207	1.000	-.54	.54
		ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.201	.169	-.11	.94
	ჰუმანიტარული	იურიდიული	.169	.162	.725	-.25	.59
		სოციალურ და პოლიტიკურ	.169	.202	.836	-.35	.69
		ეკონომიკისა და ბიზნესის	.585*	.196	.017	.08	1.09
	სოციალურ და პოლიტიკურ	იურიდიული	.000	.207	1.000	-.54	.54
		ჰუმანიტარული	-.169	.202	.836	-.69	.35
		ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.234	.290	-.19	1.02
	ეკონომიკისა და ბიზნესის	იურიდიული	-.415	.201	.169	-.94	.11
		ჰუმანიტარული	-.585*	.196	.017	-1.09	-.08
		სოციალურ და პოლიტიკურ	-.415	.234	.290	-1.02	.19

SD		იურიდიული	ჰუმანიტარული	-.169	.162	.298	-.49	.15
			სოციალურ და პოლიტიკურ	.000	.207	1.000	-.41	.41
			ეკონომიკისა და ბიზნესის	.415*	.201	.040	.02	.81
		ჰუმანიტარული	იურიდიული	.169	.162	.298	-.15	.49
			სოციალურ და პოლიტიკურ	.169	.202	.402	-.23	.57
			ეკონომიკისა და ბიზნესის	.585*	.196	.003	.20	.97
		სოციალურ და პოლიტიკურ	იურიდიული	.000	.207	1.000	-.41	.41
			ჰუმანიტარული	-.169	.202	.402	-.57	.23
			ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.234	.078	-.05	.88
		ეკონომიკისა და ბიზნესის	იურიდიული	-.415*	.201	.040	-.81	-.02
			ჰუმანიტარული	-.585*	.196	.003	-.97	-.20
			სოციალურ და პოლიტიკურ	-.415	.234	.078	-.88	.05
ames-Howell		იურიდიული	ჰუმანიტარული	-.169	.164	.732	-.60	.26
			სოციალურ და პოლიტიკურ	.000	.216	1.000	-.57	.57
			ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.200	.170	-.11	.94
		ჰუმანიტარული	იურიდიული	.169	.164	.732	-.26	.60

		სოციალურ და პოლიტიკურ	.169	.204	.839	-.37	.71
		ეკონომიკისა და ბიზნესის	.585*	.187	.014	.09	1.08
	სოციალურ და პოლიტიკურ	იურიდიული	.000	.216	1.000	-.57	.57
		ჰუმანიტარული	-.169	.204	.839	-.71	.37
		ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.233	.293	-.20	1.03
	ეკონომიკისა და ბიზნესის	იურიდიული	-.415	.200	.170	-.94	.11
		ჰუმანიტარული	-.585*	.187	.014	-1.08	-.09
		სოციალურ და პოლიტიკურ	-.415	.233	.293	-1.03	.20
unnett t (2-sided)[b]	იურიდიული	ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.201	.097	-.06	.89
	ჰუმანიტარული	ეკონომიკისა და ბიზნესის	.585*	.196	.008	.13	1.04
	სოციალურ და პოლიტიკურ	ეკონომიკისა და ბიზნესის	.415	.234	.177	-.13	.96

*. The mean difference is significant at the 0.05 level.

b. Dunnett t-tests treat one group as a control, and compare all other groups against it.

დანართი 3

Correlations

			სემესტრი	საერთო კმაყოფილება
Spearman's rho	სემესტრი	Correlation Coefficient	1.000	-.083
		Sig. (2-tailed)	.	.215
		N	227	224
	საერთო კმაყოფილება	Correlation Coefficient	-.083	1.000
		Sig. (2-tailed)	.215	.
		N	224	244

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Tsintsadze Mariam

Student satisfaction survey with teaching methods
/ TSU's example /

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Ketevan Chkuaseli
Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,
Doctor of Pedagogicalsciences

Tbilisi
2019